

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თინათინ მალედანი

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) დანერგვის  
პროცესი საქართველოში: მწარმოებელთა განწყობების კვლევა

სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნანა მაჭარაშვილი  
ასოცირებული პროფესორი  
პროგრამის ხელმძღვანელი

თბილისი

2019

## ანოტაცია

თემა: მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) დანერგვის პროცესი საქართველოში: მწარმოებელთა განწყობების კვლევა

გარემოსდაცვითი საკითხები მთელს მსოფლიოში უფრო და უფრო პრობლემატური და აქტუალური ხდება. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ), რომელიც საქართველოში ძალაში 2019 წლის 1-ელ დეკემბერს შედის, სწორედ გარემოსდაცვითი პოლიტიკის ნაწილია. მგვ კერძო სექტორის საკმაოდ ბევრ წარმომადგენელს შეეხება, რომელთა განწყობებმა და დიალოგის პროცესში ჩართულობამ შესაძლოა უდიდესი გავლენა მოახდინოს სისტემის ეფექტიანობაზე. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის მიზანია იკვლიოს მწარმოებელთა განწყობები მგვ დანერგვის პროცესთან დაკავშირებით და: დაადგინოს რამდენად მოხდა პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის ეტაპზე მწარმოებლების ჩართულობა; შეისწავლოს რამდენად ეფექტურად მოხდა მათი ინფორმირება; იკვლიოს ახდენს თუ არა გავლენას საწარმოს ზომა ხელისუფლების მხრიდან მათთან კომუნიკაციის ხარისხზე. კვლევის ამოცანაა მგვ-ს დანერგვის მაგალითზე შეისწავლოს ამა თუ იმ პოლიტიკის დაგეგმვისას საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან კერძო სექტორთან კომუნიკაციის კუთხით არსებული სიტუაცია, მგვ-ს დანერგვის კუთხით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა, მწარმოებელთა და ექსპერტთა მოსაზრებები, არასამთავრობო და სამთავრობო ანგარიშები, არსებული სტატისტიკური მონაცემები და საკითხთან დაკავშირებული სხვა მასალები. კვლევის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ შესაბამისი პროდუქციის მწარმოებლები, იმპორტიორები, სავაჭრო ასოციაციები და პროცესში ჩართული სხვა აქტორები. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკითხი ნაკლებად არის ნაკვლევი, კვლევის ძირითად ღირებულებას და სიახლეს წარმოადგენს სწორედ იმ ინფორმაციული ჩავარდნების შევსება, რაც ამ კუთხით საქართველოში არსებობს. კვლევაში ტენდენციების დონეზე გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები: მწარმოებელთა ის ნაწილი, რომელიც საწყის ეტაპზევე აქტიურად იყო ჩართული საჯარო-კერძო დიალოგის პროცესში, ძირითადად მსხვილ მწარმოებლებს წარმოადგენენ. კვლევის შედეგად არ გამოკვეთილა მნიშვნელოვანი კორელაცია მწარმოებლების მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხრიდან კომუნიკაციის დადებითად

შეფასებასა და დიალოგის პროცესში მათ ადრეულ ჩართულობას შორის. თუმცა, მწარმოებლებთან და ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგად, მგვ-ს დანერგვის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად სწორედ სამინისტროს მხრიდან კომუნიკაციის არასათანადო დონე დასახელდა. შედეგად, არაერთი მწარმოებელისთვის ჯერ კიდევ არ არის გასაგები საკუთარი ვალდებულებები, ხოლო მწარმოებელთა ნაწილი საერთოდ არ არის ინფორმირებული მგვ-ს შესახებ.

## **Annotation**

Title: Implementation Process of Extended Producer Responsibility (EPR) in Georgia: Study of the Producers' Attitudes

Author: Tinatin Maghedani

Environmental issues are becoming more and more problematic and topical in the whole world. Extended Producer Responsibility (EPR) which in Georgia will come into effect on December 1, 2019, is the part of the environmental policy. EPR affects a huge amount of private sector representatives, whose attitudes and involvement in the dialogue process might have a great impact on the system's efficiency. The main purpose of the research paper is to examine the producers' attitudes on EPR implementation process and: to identify producers' involvement in policy development and planning stage; to research how effectively they have been informed; to investigate if the size of the enterprise affects the quality of the government's communication with the producers. The research task is to study the situation in the field of the communication with the private sector by state authorities on the example of EPR implementation, to investigate the international practice of EPR implementation, to learn producers' and experts' attitudes, to review non-governmental and governmental reports, existing statistical data and other related materials. The main research objects are the relevant producers, importers, trade associations and other actors involved in the process. Based on the fact that the topic of the thesis is not well-examined, the main value and the originality of the research is to fill in the information gaps existing in this field in Georgia. The following trends have been identified in the research: the producers who were actively involved in the public-private dialogue process since the very initial stage, are mostly large producers. As a result of the research, no significant correlation has been identified between the producers' early engagements in the dialogue process and their positive evaluation of the communication from the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. However, as a result of interviews with producers and experts, the poor level of communication by the Ministry has been recognized as one of the main challenges of EPR implementation process. Thus, a lot of producers still aren't clear about their obligations, while the part of the producers is not informed about the EPR at all.

# სარჩევი

შესავალი .....	6
I. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პოლიტიკა - მისი არსი და განვითარება.....	14
1.1. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების იდეის განვითარება და მისი დანერგვის პირველი მცდელობები.....	14
1.2. ნარჩენების იერარქია და „დიზაინი გარემოს დაცვისათვის“ .....	16
1.3. რატომ მგვ? - მისი დანერგვის საჭიროება .....	19
II. ლიტერატურის მიმოხილვა და დებატები.....	21
III. მგვ-ს დანერგვის პროცესი: აქტორები და მათთან კომუნიკაცია .....	28
3.1. მგვ-ს დანერგვის პროცესში კომუნიკაციისა და კოორდინაციის მნიშვნელობა.....	28
3.2. პროცესში ჩართული აქტორები და მათი პასუხისმგებლობები .....	31
IV. მგვ-ს დანერგვის პროცესი - საერთაშორისო გამოცდილება .....	38
V. მგვ-ს დანერგვის პროცესი საქართველოში .....	43
5.1. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება და კანონმდებლობა.....	43
5.2. კომუნიკაციისა და კოორდინაციის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები.....	48
5.3. კომუნიკაციასთან დაკავშირებით მწარმოებელთა და ექსპერტთა შეფასებები .....	51
5.4. მგვ-სთან დაკავშირებული გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში .....	57
დასკვნა .....	64
ბიბლიოგრაფია: .....	66
დანართი.....	70
დანართი #1 - მწარმოებლებთან ინტერვიუს გზამკვლევი .....	70
დანართი #2 - ექსპერტებთან ინტერვიუს გზამკვლევი.....	74
დანართი #3 - სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი .....	77

## შესავალი

ნარჩენების მართვის საკითხი გლობალურ გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემას წარმოადგენს და მისი გადაჭრის გზებზე მუშაობა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ამ მიმართულებით საქართველოც არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ პატივი სცეს მდგრადი განვითარების პრინციპებს, დაიცვას გარემო, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოსდაცვითი მმართველობა და გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი საჭიროებები (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2014). აღნიშნული ვალდებულება მოიცავს ნარჩენების მართვის საკითხსაც. ყოველწლიურად, საქართველოში დაახლოებით 900 000 ტონა მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება, რომელიც 1000-მდე სახიფათო და არასახიფათო ნივთიერებას შეიცავს (დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის გუნდი GEORGIA, 2018). აღნიშნული ნარჩენების უდიდესი ნაწილი - 700 000 ტონა არ გადამუშავდება და ნაგავსაყრელებზე თავსდება (Particip GmbH, 2019), რაც უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც გარემოზე ისე ადამიანის ჯანმრთელობაზე. ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების შემცირების გავრცელებულ ერთ-ერთ გზას წარმოადგენს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ), რომელიც ძალაში 2019 წლის 1-ელ დეკემბერს შევა.

მგვ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრევენციული გარემოსდაცვითი პოლიტიკის ნაწილი. ამასთან, ეს არის ეფექტური შესაძლებლობა, რომ კორპორაციებმა დაიწყონ ფიქრი მათ მიერ წარმოებული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შესახებ.

ვინაიდან მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პოლიტიკის ეფექტურად განხორციელება დიდწილად არის დამოკიდებული ადგილობრივ კონტექსტსა და პირობებზე, პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე დაინტერესებული მხარეების ჩართვა მეტად მნიშვნელოვანია. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ მნიშვნელოვან აქტორებს, როგორც არიან მწარმოებლები. შესაბამისად, საინტერესოა, რამდენად ეფექტურად და დროულად მოხდა მათი ინფორმირება და რა განწყობები აქვთ მათ მგვ-ს დანერგვის პროცესთან მიმართებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **კვლევის მიზანია** შეისწავლოს მგვ-ს დანერგვის პროცესთან დაკავშირებით მწარმოებელთა განწყობები და:

- 1) დაადგინოს რამდენად მოხდა პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის ეტაპზე მწარმოებლების ჩართულობა;
- 2) შეისწავლოს რამდენად ეფექტურად მოხდა მათი ინფორმირება;
- 3) დაადგინოს ახდენს თუ არა გავლენას საწარმოს ზომა ხელისუფლების მხრიდან მათთან კომუნიკაციის ხარისხზე;
- 4) შეისწავლოს რა განწყობები აქვთ მწარმოებლებს ზოგადად მგვ-სთან დაკავშირებით.

**კვლევის ამოცანაა** მგვ-ს დანერგვის მაგალითზე შეისწავლოს ამა თუ იმ პოლიტიკის დაგეგმვისას საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან კერძო სექტორთან კომუნიკაციის კუთხით არსებული სიტუაცია, მგვ-ს დანერგვის კუთხით არსებული საერთაშორისო პრაქტიკა, მწარმოებელთა და ექსპერტთა მოსაზრებები, არასამთავრობო და სამთავრობო ანგარიშები, არსებული სტატისტიკური ინფორმაცია და საკითხთან დაკავშირებული სხვა მასალები.

**კვლევის მთავარი კითხვებია:**

რა გავლენას ახდენს მგვ-ს დანერგვის საწყის ეტაპზე მწარმოებელთა დიალოგის პროცესში ჩართულობა მათ მიერ სამინისტროს მხრიდან კომუნიკაციის ეფექტურობის შეფასებაზე?

რამდენად ახდენს გავლენას საწარმოს ზომა სახელმწიფოს მხრიდან მათთვის ინფორმაციის მიწოდების ეფექტურობაზე?

**ქვე-კითხვები:**

- მწარმოებელთა შეფასებით, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს მგვ-ს დანერგვის პროცესი?
- რამდენად მოხდა მწარმოებლებთან კონსულტაცია/დიალოგი მგვ-ს კანონმდებლობის შემუშავების ეტაპზე?

**კვლევის ობიექტები:** შესაბამისი პროდუქციის მწარმოებლები, იმპორტიორები, სავაჭრო ასოციაციები და პროცესში ჩართული სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო სექტორი.

**დაშვება #1:**

მწარმოებლები, რომლებთან დიალოგი მგვ-ს დანერგვის ადრეულ ეტაპზე დაიწყო უფრო დადებითად აფასებენ სამინისტროს მხრიდან კომუნიკაციის ეფექტურობას.

**დაშვება #2:**

მგვ-ს დანერგვის პროცესში სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორთან კომუნიკაციის ხარისხზე გავლენას ახდენს საწარმოს/იმპორტიორის ზომა.

**ცვლადების ოპერაციონალიზაცია:**

სამინისტროში იგულისხმება „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო“.

კომუნიკაციის ეფექტურობა შეფასდება შემდეგი ინდიკატორების საფუძველზე:

დროითი ინდიკატორები:

- ✓ კერძო სექტორთან კომუნიკაციის დაწყების დრო;
- ✓ მწარმოებლების ჩართვა კონსულტაციების პროცესში მგვ-ს დანერგვის ადრეულ ეტაპზე;

კომუნიკაციის წყაროები/საშუალებები:

- ✓ ინფორმაციის გავრცელების გზები;
- ✓ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა;

კომუნიკაციის ხარისხი:

- ✓ რამდენად გასაგებად იყო მიწოდებული მწარმოებლების როლებისა და პასუხიმგებლობების შესახებ ინფორმაცია;
- ✓ შეკითხვების შემთხვევაში როგორი იყო სამინისტროს მხრიდან რეაგირება; იყო თუ არა პასუხები ამომწურავი?



- ✓ ინფორმაციული საჭიროებების გათვალისწინება (სახელმძღვანელოების და სხვა საჭირო დოკუმენტების გაცნობა მწარმოებლებისთვის)

რაც შეეხება საწარმოთა კლასიფიკაციას მსხვილ, საშუალო და მცირე ზომის საწარმოებად, ეს ხდება მათი ზომის მიხედვით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2018) ზომის განსასაზღვრად იყენებს შემდეგ კრიტერიუმებს:

„მსხვილი ზომის საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს“.

იმპორტიორების შემთხვევაში, საწარმოს ზომის დასადგენად გამოყენებულია კომპანიის საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა ზემოთხსენებული კლასიფიკაციის მიხედვით.

**კვლევის მეთოდოლოგია** - კვლევის არაექსპერიმენტული, თვისებრივი დიზაინი ეფუძნება:

- ✓ მეორეული წყაროების ანალიზი - ინფორმაცია მოძიებულია სამთავრობო დოკუმენტებიდან, მიმოხილვებიდან, წიგნებიდან, სტატიებიდან და კვლევის ანგარიშებიდან;
- ✓ მიზნობრივი შერჩევის შედეგად მწარმოებელთა სამივე ჯგუფიდან (მცირე, საშუალო, მსხვილი მწარმოებლები) შეირჩა რესპონდენტები, რომლებთანაც ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები მათი განწყობების დასადგენად. რეპრეზენტატიულობის მაქსიმალურად დაცვის მიზნით, შეირჩა სხვადასხვა ტიპის ნარჩენების წარმომქმნელები (შეფუთვისა და

შესაფუთი მასალის ნარჩენები, აკუმულატორები, ნარჩენი ზეთები, გამოყენებული საბურავები, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენები). ჩატარდა 6 პირისპირ ინტერვიუ და 2 სატელეფონო ინტერვიუ. ინტერვიუების ნაწილი იყო ანონიმური. მოხდა ინტერვიუების აუდიო ჩაწერა, რათა უზრუნველგვეყო რესპონდენტების პასუხების სანდოობა. ინტერვიუს ტრანსკრიპტები მომზადდა ინტერვიუს ჩაწერის დღესვე. ინტერვიუების ხანგრძლივობა მერყეობდა 30 წუთიდან 50 წუთამდე. ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია, ნაშრომში გამოყენებულია ამა თუ იმ არგუმენტის გასამყარებლად და მწარმოებლების განწყობების წარმოსაჩენად;

- ✓ ჩატარდა 15 მოკლე სატელეფონო გამოკითხვა (რესპონდენტებს, ძირითადად, დავუკავშირდი ინტერნეტში მოძიებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით);
- ✓ მიზნობრივი შერჩევის შედეგად შეირჩა TBC ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მენეჯერი, რომელმაც არასტრუქტურირებული სატელეფონო ინტერვიუს დროს ისაუბრა თუ რა გავლენა აქვს მგვ-ს მსგავს კომპანიებზე;
- ✓ მიზნობრივი შერჩევის შედეგად შეირჩა 2 ექსპერტი რომლებთანაც ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები. ერთ-ერთი ექსპერტი - ხათუნა გოგალაძე არის ყოფილი გარემოს დაცვის მინისტრი და არასამთავრობო ორგანიზაცია Georgia's Environmental Outlook-ის დამფუძნებელი. იგი მგვ-ს დანერგვის საწყისი ეტაპიდან დღემდე უშალოდ იყო ჩართული ფაქტობრივად ყველა მიმდინარე პროცესში. მეორე ექსპერტი გახლავთ არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენელი კახა რუხაია, რომელსაც ნარჩენების მართვის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ექსპერტები გამოიკითხნენ მწარმოებელთა გამოკითხვის შემდგომ, რათა მოგვესმინა მათი შეხედულება მწარმოებელთა მიერ პრობლემებად დასახელებულ საკითხებთან და მგვ-ს დანერგვის პროცესთან დაკავშირებით.

გარდა ზემოთხსენებულისა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მივმართე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით. გამოვითხოვე იმ საწარმოების სია ან/და რაოდენობა, რომლებსაც ეხებათ მგვ, ვიკითხე რამდენ მათგანთან

ჰქონდათ კომუნიკაცია; რა გზებით; ვთხოვე, მოეწოდებინათ იმ ძირითადი ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც ჩატარდა მგვ-სთან დაკავშირებით; ვინ იყო ორგანიზატორი; ვიკითხე არსებობდა თუ არა რაიმე ოფიციალურ პლატფორმა/საკონსულტაციო საბჭო მგვ-სთან დაკავშირებით, რომელშიც ჩართულები არიან მწარმოებლები და ვთხოვე ნარჩენების თითოეული ნაკადის მიხედვით ტექნიკური რეგლამენტის პროექტის დოკუმენტები გამოგზავნათ. მიღებული პასუხი იყო მეტად არასრული და წერილში ეწერა მხოლოდ კანონიდან ამოღებული ზოგადი განმარტება თუ ვის ეხება მგვ, არ იყო მოწოდებული არანაირი სტატისტიკური ინფორმაცია, შეხვედრებთან დაკავშირებული კითხვების პასუხად კი მივიღეთ სამინისტროს ვებ-გვერდებისა და Facebook გვერდის ბმულები. ტექნიკური რეგლამენტების პროექტებზე კი მოგვწერეს, რომ აღნიშნული შემუშავებულია და უახლოეს მომავალში წარედგინება საქართველოს მთავრობას.

აღნიშნული საკითხი ნაკლებად არის ნაკვლევია, სწორედ ამიტომ, **კვლევის ძირითად დირექტულებას** წარმოადგენს იმ ინფორმაციული ჩავარდნების შევსება, რაც ამ მიმართულებით საქართველოში არსებობს.

თუმცა, რასაკვირველია, კვლევას გააჩნია **გარკვეული შეზღუდულობა**. პირველ რიგში, ეს შეეხება ჩატარებული ინტერვიუების მცირე რაოდენობას, რაც განპირობებული იყო მწარმოებელთა ნაწილის მხრიდან ინტერვიუში მონაწილეობის სურვილის არქონით და დროითი შეზღუდულობით. უკეთესი რეპრეზენტატულობისთვის, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა მეტი ინტერვიუს ჩაწერა, თუმცა, ერთ-ერთ რესპონდენტად შეირჩა კომპანია “Georgian Plus”-ის თავმჯდომარე. აღნიშნული კომპანია არის 8 მსხვილი მწარმოებლის გაერთიანება, შესაბამისად, მისი პოზიცია ასახავდა ყველა წევრი მწარმოებლის პოზიციას, რაც ზრდის კვლევის რეპრეზენტატულობას. თვისებრივი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია შესაძლოა მიკერძოებული იყოს და მიღებულ შედეგებზე გავლენა მოახდინოს რესპონდენტების პირადმა შეხედულებებმა (Creswell, 2014). თუმცა, წინამდებარე კვლევის შემთხვევაში, აღნიშნული შეზღუდულობა ნაკლებად პრობლემატურია, რადგან კვლევის მიზანია ასახოს მეწარმეთა განწყობები, რაც ლოგიკურია გულისხმობს, რომ რესპონდენტების პირადი დამოკიდებულებები წინა პლანზე იქნება წამოწეული.

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი ღირებულება არის ის, რომ მგვ-ს განხორციელების საწყის ეტაპზე ჩატარდა. თუმცა, ეს შეიძლება მის შეზღუდულობასაც წარმოადგენდეს, რადგან კვლევა ჩატარებულია იქამდე, სანამ დაინტერესებული მხარეები გამოცდიდნენ ყველა იმ დაბრკოლებას, რაც წინამდებარე ნაშრომშია ნახსენები. შესაბამისად, მწარმოებლების განწყობები შესაძლოა გარკვეულწილად წარმოადგენდეს მათ ვარაუდებსა და მოლოდინებს და არა ობიექტურ ფაქტებს, როგორც ეს ზემოთ უკვე ვახსენეთ.

ამავდროულად, წინამდებარე კვლევა შესაძლოა კარგი საწყისი წერტილი იყოს სხვა სტუდენტებისთვის, რათა უფრო ფართოდ იკვლიონ მგვ-ს განხორციელების შემდეგი ეტაპები და დაადგინონ ის ჩავარდნები, მათ შორის კომუნიკაციაში, რაც მისი განხორციელების საწყის ეტაპზე იყო, დაადგინონ რამდენად აღმოიფხვრა ისინი, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს თავად მგვ-ს დანერგვის პროცესი და ა.შ.

#### **ტერმინთა განმარტება:**

ნაშრომში ხსენებულ ტერმინთა უმრავლესობა გამოიყენება იმ მნიშვნელობით, როგორც ის „ნარჩენების მართვის კოდექსშია“ (2015) განმარტებული. მაგალითად, „ნარჩენი ეს არის ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს“.

წინამდებარე ნაშრომში „მწარმოებლებლად განხილულია ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს, ამუშავებს, ყიდის ან ქვეყანაში შემოაქვს პროდუქცია, რომელიც ხმარებიდან ამოღების შემდეგ გადაიქცევა სპეციფიკურ ნარჩენად და ხვდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში.

*მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO)* – კოლექტიური ორგანიზაცია, რომელიც, ჩვეულებრივ, ფინანსდება მწარმოებლების მიერ ან კანონმდებლობის საფუძველზე და პასუხისმგებელია მწარმოებლის ვალდებულებების შესრულებაზე ნარჩენების შეგროვებასა და განთავსებასთან დაკავშირებით.

*მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR)* – გარემოსდაცვითი პოლიტიკური მიდგომა, რომლის თანახმადაც მწარმოებლის პასუხისმგებლობა პროდუქციაზე მისი

მომხმარებლის შემდგომ ეტაპზეც ვრცელდება. პრაქტიკაში, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) მწარმოებლებს ავალდებულებს ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვებას და მათ დახარისხებას საბოლოო განთავსებისთვის, საუკეთესო შემთხვევაში, რეციკლირებისათვის.

*დაინტერესებული მხარეები* – პროდუქციის ფასეულობათა ჯაჭვში ჩართული ყველა პირი, რომელსაც აქვს საკუთარი ინტერესი მის წარმოებასა და ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის მართვაში: მწარმოებლები, საცალო მოვაჭრეები, მომხმარებლები-მოქალაქეები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ნარჩენების მართვაში ჩართული სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები“ (GEO, 2017).

## I. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პოლიტიკა - მისი არსი და განვითარება

### 1.1. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების იდეის განვითარება და მისი დანერგვის პირველი მცდელობები

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება შედარებით ახალი კონცეფციაა და პირველად იგი თომას ლინდკვისტის მიერ იყო წარმოდგენილი შვედეთის გარემოს დაცვის სამინისტროსთვის მომზადებულ 1990 წლის ანგარიშში (Lindhqvist & Lidgren, 1990).

კონცეფცია ეფუძნებოდა რამდენიმე შვედურ და უცხოურ გადამამუშავებელ და ნარჩენების მართვის სქემას და უფრო სუფთა წარმოების (cleaner production) ხელშეწყობის მიზნით პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებას. მწარმოებლის გაფართოებული პოლიტიკის კონცეფციის გაცნობა მოხდა იმ პერიოდში, როდესაც ევროპული სახელმწიფოები, კერძოდ კი ავსტრია, გერმანია, ნიდერლანდები, შვეიცარია და სკანდინავიის ქვეყნები ამზადებდნენ და ახორციელებდნენ სხვადასხვა პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რათა გაეუმჯობესებინათ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ბოლო/მომხმარებლის შემდგომი ეტაპის მენეჯმენტი. კონცეფცია გულისხმობს იმ ვალდებულებების მწარმოებლებისთვის გადაცემას, რომელიც, ტრადიციულად, მომხმარებლებისა და ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო დაწესებულებების ვალდებულება იყო (Lindhqvist, 2000).

მგვ-ს ფორმალური განმარტება პირველად თომას ლინდკვისტის 1992 წელს დაწერილ ანგარიშში (Extended Producer Responsibility as a Strategy to Promote Cleaner Products) გამოქვეყნდა. განმარტების თანახმად, მგვ ეს არის გარემოსდაცვითი სტრატეგია, რომელიც გარემოზე პროდუქტის ზემოქმედების შემცირების მიზნით, გულისხმობს მწარმოებლის პასუხისმგებლობას პროდუქტის მთელ სასიცოცხლო ციკლზე, განსაკუთრებით კი შეგროვებაზე, გადამამუშავებასა და საბოლოო განთავსებაზე. მგვ ხორციელდება ადმინისტრაციული, ეკონომიკური და ინფორმაციული

ინსტრუმენტებით. ამ ინსტრუმენტების სტრუქტურა/კომპოზიცია განსაზღვრავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ზუსტ ფორმას.

მგვ-ს პოლიტიკა ეფუძნება „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპს, რაც ასევე გულისხმობს, რომ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ბოლომდე არსებული ხარჯები ასახული უნდა იყოს მის საბოლოო ღირებულებაში. მგვ პოლიტიკის გარეშე ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და განთავსების ხარჯები არ იქნება ასახული პროდუქტის საბოლოო ღირებულებაში, რის გარეშეც, მომხმარებელს გაუჭირდება გაიგოს პროდუქტის რეალური ღირებულება. ამასთან, მგვ მწარმოებელს უბიძგებს, რომ პროდუქტის დიზაინის შერჩევასა და გათვალისწინოს მსგავსი ხარჯები (Lindhqvist, 2000).

მგვ-ს აუცილებლობა დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც აღმოჩნდა, რომ სხვა მიდგომები და მეთოდები არც ისე ეფექტური იყო ნარჩენების მართვის პროცესში. ამასთან, ისინი ნარჩენების მართვის უფრო ტრადიციულ გზას წარმოადგენდა და ნაკლებად იყო ორიენტირებული პრევენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ პრევენციული ზომების მიღების საჭიროება და ამ პროცესში პროდუქტის დიზაინზე ფოკუსირების საჭიროება მალევე გამოიკვეთა, საწყის ეტაპზე, როდესაც მგვ-ს შესახებ დაიწყო საუბარი, რეალური ნაბიჯები დიზაინის მიმართულებით არ გადადგმულა და არ ჩამოყალიბებულა კონკრეტული პოლიტიკის მიდგომები და პოლიტიკის ჩარჩოები (Lindhqvist, 2000).

თავდაპირველად, როდესაც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პოლიტიკის კონცეფცია შვედეთის გარემოს დაცვის სამინისტროს წარუდგინეს, იმის შესაფასებლად თუ რამდენად წარმატებულია მგვ-ს განხორციელების პროცესი, გამოიყო 5 ფაქტორი, რომლებშიც პროდუქტის დიზაინზე პირდაპირ საუბარი არ ყოფილა. თუმცა, გარკვეულწილად მაინც მოიცავდა ამ საკითხს.

ეს ფაქტორებია:

1. პროდუქტის განვითარების მეშვეობით, მისი ცვლილების ხელშეწყობა (ამაში მოიაზრება ძლიერი წამახალისებელი მექანიზმები, რათა გაუმჯობესდეს პროდუქტის გავლენა მისი მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში);

2. ეკოლოგიურად ადაპტირებული პროდუქციის მოხმარების წახალისება (აქ იგულისხმება მომხმარებლების წახალისება, რომ მათ აირჩიონ ეკოლოგიურად ადაპტირებული პროდუქცია. საბოლოო მიზანია, რომ ყველა ხარჯი ასახული იყოს პროდუქტის ღირებულებაში);
3. პროდუქტის ღირებულებისა და მისი მასალების ფართო მეორეული გამოყენების გარანტირება (ხელახალი გამოყენება და გადამუშავება უნდა იყოს სტიმულირებული და ისე უნდა განხორციელდეს, რომ გარემოს რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს);
4. აუცილებელი ბიუროკრატიის მაქსიმალურად შემცირება;
5. დასახული მიზნების კონტროლის შესაძლებლობა (კონტროლის მექანიზმი განხორციელების პროცესში იმგვარად უნდა იყოს ადაპტირებული, რომ შესაძლებელი გახდეს პროცესის ობიექტური კონტროლი და შესაბამისი კორექტივების შეტანა) (Lindhqvist & Lidgren, 1990).

საბოლოო ჯამში, 1990 წელს თომას ლინდკვისტის მიერ წარდგენილი ანგარიშის შემდგომ, შვედეთის მთავრობამ დაიწყო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა მგვ-ს პოლიტიკის კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვისათვის.


## 1.2. ნარჩენების იერარქია და „დიზაინი გარემოს დაცვისათვის“

წინა ქვეთავში უკვე ვახსენეთ ნარჩენების მართვის პროცესში პრევენციისა და პროდუქტის დიზაინის მნიშვნელობა.

თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფართოდ არის დანერგილი ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპი, სადაც პრიორიტეტი, პირველ რიგში, სწორედ პრევენციას ენიჭება. საქართველოშიც ნარჩენების მართვის პოლიტიკა და ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება ნარჩენების მართვის იერარქიას (საქართველოს პარლამენტი, 2015). აღნიშნული სქემატურად მოცემულია პირველ სურათზე.



სურ. 1. ნარჩენების იერარქია



(ICMA, CityLink & CENN, 2015)

შესაბამისად, ნარჩენების მართვის პროცესში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია ნარჩენების წარმოქმნის შემცირებისკენ. შემდგომი საფეხურია მისი ხელახალი გამოყენება, გადამუშავება/რეციკლირება, ნარჩენების ენერჯიად გარდაქმნა/აღდგენა და ბოლოს, უსაფრთხო განთავსება თანამედროვე სტანდარტების მქონე შესაბამის ნაგავსაყრელებზე. ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსება ყველაზე ნაკლებად სასურველი ვარიანტია. ნარჩენების იერარქიის მთავარი ამოცანაა მოხმარებული პროდუქტებისაგან მივიღოთ მაქსიმალური პრაქტიკული სარგებელი და მინიმალური ზიანი მივაყენოთ გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას (Particip GmbH, 2019).

როგორც აღვნიშნეთ, ნარჩენების მართვის იერარქიაში უპირატესობა ენიჭება პრევენციას. სწორედ პრევენციული პოლიტიკის ნაწილად შეგვიძლია განვიხილოთ “დიზაინი გარემოს დაცვისთვის” (DfE), რომელიც არის პროექტირების მიდგომა, რომლის მიზანია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე პროდუქციის, პროცესის ან მომსახურების ისეთი ზემოქმედების შემცირება, რომელიც პროდუქციის, პროცესის ან მომსახურების მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში გრძელდება. “დიზაინი გარემოს დაცვისთვის” ითვალისწინებს ისეთი პროდუქციის შექმნას, რომელიც მოხმარებიდან ამოღების შემდეგ ადვილად იშლება და გადამუშავდება. მაგალითად, სასმელების ტარის შემთხვევაში ეს ნიშნავს მინის ან პლასტმასის უფრო მსუბუქ ბოთლებს ან მრავალჯერადი გამოყენების ტარას“ (ICMA & CENN, 2017). რეალურად, ეს არის

მიდგომა, რომელიც ჩანასახშივე ებრძვის ჭარბი და რთულად გადამამუშავებელი ნარჩენების წარმოქმნას, შესაბამისად, აქვს პრევენციული ხასიათი.

“დიზაინი გარემოს დაცვისთვის“ (DfE) ეყრდნობა სასიცოცხლო ციკლის შეფასების მეთოდს, რომელიც ცდილობს მოახდინოს პროდუქტის მიერ მთელი მისი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში გარემოზე ზემოქმედების იდენტიფიცირება და შეფასება. ეს არის მეთოდი, რომელიც განუწყვეტლივ ცდილობს გააუმჯობესოს პროდუქტის დიზაინი ისე, რომ მას გარემოზე ნაკლები ზემოქმედება ჰქონდეს (Lindhqvist, 2000).

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ სამომავლოდ, მგვ-ს შესაძლოა ჰქონდეს ნარჩენების პრევენციაზე ზეგავლენა. თუმცა, რაც შეეხება „დიზაინი გარემოს დაცვისთვის“ მიდგომას, ამ ეტაპზე არც ერთ გამოკითხულ მწარმოებელს არ შეუცვლია ამა თუ იმ პროდუქტისა თუ შესაფუთი მასალის დიზაინი ან შემადგენლობა. კომპანია ბორჯომის წარმომადგენლის თქმით, ისინი მუშაობენ ამ მიმართულებით. კომპანია „Georgian Plus“-ის თავჯდომარემ (2019) კი ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ „ერთ-ერთმა კომპანიამ უკვე დაიწყო ფიქრი რომ უფრო თხელი პლასტმასის ბოთლები გამოუშვას. ალბათ შესაძლებელია, რომ ვინმემ ამას გადახედოს. ანუ გვაქვს ერთი კომპანიის მაგალითი, რომელმაც უბრალოდ კითხვები დაუსვა საკუთარ თავს. რეალური ცვლილება ჯერ არ მომხდარა“.

ერთ-ერთი მწარმოებლის თქმით, „ჩვენ უკვე გლობალური მასშტაბით ვცდილობთ, რომ პლასტიკის გამოყენება მაქსიმალურად შევამციროთ და გადავდივართ ბიოდეგრადირებად მასალაზე. ჩვენ, იმისდა მუხედევად არსებობს თუ არა კანონი, მაქსიმალურად ვცდილობთ გარემოზე ჩვენი ზემოქმედების დონე დავწიოთ (ს.ზ., 2019)“. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მხოლოდ მგვ-ს ზეგავლენა ნაკლებად იკვეთება.

მწარმოებლების (ბარძიმაშვილი, 2019) (ლ.ჭ., 2019) თქმით, დიზაინის ცვლილება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, ნარჩენების სპეციფიკაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დიზაინის ცვლილებამ შესაძლოა გააძვიროს პროდუქტისა თუ მისი შესაფუთი მასალის ღირებულება, რაც მწარმოებლებისა და მომხმარებლებისთვის დამატებითი ტვირთია.

### 1.3. რატომ მგვ? - მისი დანერგვის საჭიროება

წარმოების პროცესთან დაკავშირებული ტრადიციული გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფოკუსი საკმარისი აღარ არის იმ ცვლილებების განსახორციელებლად, რაც საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დასაცავად. ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში მოხმარების შემდგომი ნარჩენები სულ უფრო და უფრო დიდი პრობლემა ხდება. არაერთი პოლიტიკა განხორციელდა აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ არც ერთი არ იყო საკმარისად ეფექტური, რომ გადაეჭრა ახალი ნაგავსაყრელებისა და ინსენერატორების შექმნის საჭიროება. მგვ პოლიტიკა ამ პრობლემის მოგვარებასაც ცდილობს (OECD, 2011). კარგად დაგეგმილმა მგვ პროგრამებმა შესაძლოა შეამცირონ გარემოზე არა მხოლოდ კონკრეტული პროდუქტის, არამედ პროდუქტთა ჯგუფის ან მთლიანად ნარჩენების ნაკადის უარყოფითი ზემოქმედება.

მგვ-ს პოლიტიკის დაგეგმვაზე საუბრისას ლიფსეტი (1993) აღნიშნავს 4 ძირითად მოტივაციას:

1. კონკრეტული შედეგების მოპოვება, განსაკუთრებით კი ხელახალი გამოყენების, გადამუშავების და აღდგენის ფორმების მაღალი დონის მიღწევა;
2. ქცევის ცვლილება, განსაკუთრებით კი, მასალების გამოყენებისა და პროდუქტის დიზაინის შესახებ მწარმოებლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა;
3. მწარმოებლების კვალიფიკაციის ამაღლება ისეთ აქტივობებთან მიმართებით, როგორცაა დიზაინი, წარმოება, მარკეტინგი, დისტრიბუცია;
4. ფინანსური რესურსების მოპოვება უფრო ამბიციური გარემოსდაცვითი, განსაკუთრებით კი, ნარჩენების მართვის მიზნების მისაღწევად (ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა საჯარო, გადასახდებზე დაფუძნებული წყაროებით).

1994 წლის ანგარიშში კი ვოგელი მგვ-სთან მიმართებით საუბრობდა მოთხოვნა-მიწოდების კანონზე და აღნიშნავდა, რომ როდესაც მწარმოებელს უწევს გადაიხადოს გარკვეული თანხა აღდგენისათვის, ის შეეცდება ამ ხარჯის შემცირებას და, ამ მიზნით, ყველა ღონეს იხმარს, რომ იპოვნოს გზები, რათა ახალი მასალები ჩაანაცვლოს მეორეული მასალებით. ის ასევე აღნიშნავს, რომ ყველა ტიპის შეფუთვაზე გადასახადის დაწესება

ნეგატიური პრაქტიკაა და აუცილებელია შეიცვალოს (Lindhqvist, 2000). მართლაც, თუ ყველა ტიპის შეფუთვაზე, იქნება ეს პირველადი თუ მეორეული მასალებისგან დამზადებული პროდუქტი, ერთნაირი გადასახადი დაწესდება, მეწარმეებს ნაკლები მოტივაცია ექნებათ, რომ მეორეული პროდუქცია აქტიურად გამოიყენონ.

მგვ-ს დანერგვის პროცესზე საუბრობს მაკვარტიც (1993), რომლის მიხედვითაც, თუ მწარმოებლებს არ აქვთ გადამუშავების ვალდებულება, ისინი დიზაინის შექმნისას არ ითვალისწინებენ თუ რა პრობლემები შეიძლება წარმოშვას მათმა პროდუქციამ ნარჩენების დამუშავების ეტაპზე. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც შუშის ლუდის ბოთლები დაბოლოებული არის კერამიკის „ყელით“. კერამიკა ვერ გადამუშავდება შუშასთან ერთად, რაც ნარჩენების მართვისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას წყლის პლასტმასის ბოთლებზე. პლასტმასის PVS ბოთლები ვერ გადამუშავდება პლასტმასის PET ბოთლებთან ერთად და შეგროვებისა თუ გადამუშავების პროცესში მათი გარჩევა და განცალკევება საკმაოდ რთულია.

ამ კონტექსტში მგვ-ს დანერგვის აუცილებლობაზე საუბრობს ეკოციკლური კომისიაც, რომლის მიხედვითაც, მგვ არის მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საბაზრო პროდუქციის მხრიდან გარემოზე რაც შეიძლება ნაკლები ზემოქმედება და მინიმუმამდე დაიყვანოს რესურსების გამოყენება როგორც წარმოების, ისე მომდევნო ეტაპებზე. მწარმოებლის პასუხისმგებლობამ პროდუქტის მთელ სასიცოცხლო ციკლზე უნდა უზრუნველყოს პროდუქტის გაუმჯობესება. შესაბამისად, შეგროვების, ხელახალი გამოყენების, გადამუშავებისა და გადაყრილი პროდუქტის საბოლოო მოპყობასთან დაკავშირებული მიზნები მიღწეული იქნება (Lindhqvist, 1992).

მგვ-ს იდეის შესახებ საუბრობს Greenpeace International (1995) და აღნიშნავს, რომ მგვ უზრუნველყოფს მწარმოებლების წახალისწებას, რომ მან შეცვალოს პროდუქტის დიზაინი და ტექნოლოგიის პროცესი, რათა მაქსიმალურად იყოს არიდებული გარემოს დაბინძურება და შემცირდეს რესურსებსა და ენერჯის გამოყენება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე.

მგვ-ს შესახებ საუბრობს სხვა არაერთი ავტორიც, რომელთა შეხედულებები წინამდებარე თავში იქნება განხილული.

## II. ლიტერატურის მიმოხილვა და დებატები

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განმარტების თანახმად, მგვ ეს არის გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიდგომა, რომლის მიხედვითაც, მწარმოებელი პასუხისმგებელია პროდუქტის მთელ სასიცოცხლო ციკლზე, მათ შორის, მოხმარების შემდგომ ეტაპზეც. მგვ-ს პოლიტიკას აქვს შემდეგი მახასიათებლები:

1. პასუხისმგებლობა (ფიზიკურად ან/და ეკონომიკურად, ნაწილობრივ ან სრულად) მუნიციპალიტეტებიდან ინაცვლებს მწარმოებლისაკენ;
2. მწარმოებლის წახალისება, რათა მათ გარემოსდაცვითი ფაქტორები გაითვალისწინონ პროდუქციის დიზაინის შექმნისას (OECD, 2001).

მიუხედავად მისი სარგებლიანობისა, დებატები არსებობს მგვ-ს პოლიტიკის როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ასპექტების გარშემოც. შეკითხვები ძირითადად, შეეხება იმას თუ რამდენად არის შესაძლებელი მგვ, როგორც ინსტრუმენტი, გამოყენებული იყოს საბოლოოდ ნაგავსაყრელზე მოხვედრილი ნარჩენების რაოდენობის აშკარა შემცირებისთვის და რამდენად შეძლებს ის პროდუქტის დიზაინის ცვლილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.

ამ კონტექსტში, ორი ძირითადი პრობლემური საკითხია:

- 1) მგვ-ს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისეული განმარტება და ხედვა, რომ პასუხისმგებლობა პროდუქციის ჯაჭვში უნდა გაინაწილონ სხვა აქტორებმაც;
- 2) რამდენად მისაღებია მგვ-ს მიზნები.

პირველი საკითხი უკავშირდება გაზიარებული პასუხისმგებლობის კონცეფციას, უფრო ზუსტად კი, მგვ-ს ფარგლებში მხოლოდ მწარმოებელს უნდა ჰქონდეს თუ არა მთავარი პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის გაზიარება პროდუქციის მთელი ჯაჭვის განმავლობაში მგვ-ს ფუძემდებლური ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ თავად პოლიტიკის ამ მექანიზმს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ჰქვია, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ ამ პოლიტიკის მაქსიმალურად ეფექტურად განხორციელებისა და გავლენების ოპტიმიზაციისთვის აუცილებელია

პროდუქციის ჯაჭვში მონაწილე ყველა აქტორმა და საზოგადოებამ მიიღოს მასში მონაწილეობა (მომხმარებლის როლი მგვ-ს დანერგვის პროცესში წინამდებარე ქვეთავში იქნება განხილული). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მგვ პოლიტიკის თანამშრომლობით ბუნებას და იმას თუ რამდენად მნიშვნელოვანია მგვ-ს პოლიტიკის ფრთხილი დაგეგმვა და პროდუქციის ჯაჭვში ყველა ინტერეს-მხარესთან სათანადო კომუნიკაცია. OECD ანგარიშშიც (2011) აღნიშნულია, რომ არ აქვს მნიშვნელობა თუ მგვ-ს რა მექანიზმს ავირჩევთ, მისი ეფექტური განხორციელება მაინც პროცესში ყველა აქტორის მონაწილეობაზეა დაფუძნებული. ეს განპირობებულია იმით, რომ ყველა აქტორი გარკვეულწილად გავლენას ახდენს გარემოზე. შესაბამისად, ხელისუფლებების მთავარი გამოწვევა არის პოლიტიკისა და პროგრამების ისე დაგეგმვა, რომ პასუხისმგებლობები გონივრულად იყოს გადანაწილებული და, ამასთან, მწარმოებლებს არ შეუმცირდეთ მოტივაცია, რომ პროდუქტის გარემოზე მავნე ზემოქმედება მოხმარების შემდგომ ეტაპზეც შეამცირონ.

მეორე საკითხი, რაზეც ხშირია დებატები, შეეხება მგვ-ს მიზნების დასახვას და იმას, თუ რამდენად მისაღებია ის მონაწილე მხარეებისთვის. იმისთვის, რომ აღნიშნული საკითხი პრობლემატური არ იყოს, აუცილებელია გადაწყვეტილებები მიღებული იყოს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე (OECD, 2011). როგორც ვხედავთ, კვლავ იკვეთება ეფექტური კომუნიკაციის აუცილებლობა. გარდა ამისა, კონსულტაციების საფუძველზე მიღწეული თანხმობა მნიშვნელოვანია, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის ცვლილებები, რომელთა განხორციელებაც სამომავლოდ იგეგმება, შესაძლებელი და მიღწევადია არსებული პირობების გათვალისწინებით. ამასთან, სათანადო კომუნიკაცია ზრდის იმის შანსს, რომ მწარმოებლების მხრიდან კარგად იქნება გაგებული მისაღწევი მიზნები და მათი მნიშვნელობა.

არაერთი მგვ პროგრამის განხორციელების დროს დაუსახავთ გადამუშავების მიზნები და დაუწესებიათ კვოტა. მართალია, მიზნების დასახვა ნარჩენების მართვის პროცესში უმნიშვნელოვანესია, მაგრამ თუ ამ მიზნების დასახვისას გადამამუშავებელი ბაზრის მოცულობა და შესაძლებლობები სათანადოდ არ იქნება გათვალისწინებული, აღნიშნულმა მიზნებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოაძინოს მთელ პროცესზე ან მისი კრაზიც კი გამოიწვიოს (OECD, 2011).

მგვ-ს პოლიტიკის გარშემო არსებული სხვა დებატები უკავშირდება მის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს - „დამბინძურებელი იხდის“. არაერთი ავტორი სვამს კითხვას თუ ვინ არის დამბინძურებელი. ზოგიერთ შემთხვევაში მისი დასახელება ძალიან რთული ან შეუძლებელიც კია.

ისეთი ავტორები, როგორცაა ვალში (2006) აკრიტიკებენ OECD-ის განმარტებაში ნახსენებ მგვ-ს დადებით შედეგებს, რომლის მიხედვითაც, მგვ-მ უნდა წახალისოს „დიზაინი გარემოს დაცვისათვის“.

ვალშის (2006) თანახმად, OECD-ის მიერ მგვ-ს განმარტება პირველ რიგში მწარმოებლებს ადანაშაულებს გარემოსდაცვით პრობლემებსა და დაბინძურებაში. ამ კონტექსტში მომხმარებელთა როლი უგულვებელყოფილია, თუმცა, სწორედ მათი მხრიდან ამა თუ იმ პროდუქტის კონკრეტულ დიზაინზე მოთხოვნამ შესაძლოა გამოიწვიოს გარემოსდაცვითი პრობლემები.

უისმეტი და ჰაკლი (2011) დიზაინი გარემოს დაცვისთვის მხარდაჭერის პროცესში ხაზს უსვამენ მუნიციპალიტეტის როლსაც. მუნიციპალიტეტებს ხელეწიფებათ ნარჩენების მართვის პროცესი იმგვარად დაგეგმონ რომ ხელი შეუწყონ გადამუშავებითი აქტივობების ეფექტურობას. ამ მხრივ, მუნიციპალიტეტის როლზე საუბრობს გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილიც.

იუსა და მისი თანაავტორების (2008) მიხედვით, მგვ-მ შესაძლოა გამოიწვიოს კონფლიქტი პროდუქტის ხარისხსა და მის გარემოსდაცვით მახასიათებლებს შორის. შედეგად კი, არის შანსი, რომ მივიღოთ ნაკლებხარისხიანი და ნაკლებსაიმედო პროდუქტი.

მნიშვნელოვანია, მგვ-ს პროგრამით დასახული მიზნები იყოს ნათელი და გაზომვადი. თუმცა, დებატები არსებობს გაზომვადობასთან დაკავშირებითაც. მგვ-ს ერთ-ერთი მიზანი არის, რომ მოხდეს ნარჩენების პრევენცია. მაგრამ ამ პროცესში ჩართული მხარეები (Deloitte, 2014) სვამენ კითხვას თუ რამდენად ახდენს მგვ გავლენას ნარჩენების პრევენციაზე. რადგან მასალების ფასი დღითიდღე იზრდება, მწარმოებლები ისედაც ცდილობენ, რომ შეამცირონ მათი გამოყენება თუნდაც იგივე შეფუთვის დროს, ასე რომ, მგვ-მ პრევენციაზე დიდი გავლენა შესაძლოა ვერ მოახდინოს და ამ გავლენის გაზომვაც

საკმაოდ რთული იქნება. ეს კითხვა გარკვეულწილად ეხება დიზაინი გარემოსთვის მიდგომის ასპექტების ნაწილსაც. შესაბამისად, ნარჩენების პრევენციაზე მგვ-ს გავლენაზე აქცენტის ნაცვლად, უმჯობესია, თუ ნარჩენების იერარქიის მიმართულებით ყურადღება დაეთმობა ნარჩენების გადამუშავებას, აღდგენას და არა მათ განთავსებას.

საბოლოო ჯამში, ზემოთხსენებული საკითხების გარდა, მგვ-ს დანერგვასთან დაკავშირებით ავტორები ყველაზე მეტად კომუნიკაციისა და კონსულტაციების მნიშვნელობას უსვამენ ხაზს.

ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა კონსულტაციების პროცესში ხელს შეუწყობს სასურველი პოლიტიკის მიზნებისა და ზომების განხორციელებას და დაინტერესებული მხარეების მხრიდან უფრო მეტ ანგარიშვალდებულებას. გარემოსდაცვით საკითხებზე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მთავრობებმა უნდა დაარსონ საკონსულტაციო ჩარჩო და წარუძღვნენ პროცესს. იმისთვის რომ უზრუნველყოფილი იყოს თანმიმდევრულობა და პროცესი იყოს სტრუქტურირებული, რეკომენდირებულია თუ დაარსდება ყველა დაინტერესებული მხარისგან შემდგარი საკოორდინაციო ორგანო. გამოცდილება ასევე გვიჩვენებს, რომ სასარგებლოა თუ შესასრულებელი ამოცანებისთვის შემუშავდება ნათლად გაწერილი საკონსულტაციო აქტივობების გრაფიკი (OECD, 2011).

გარდა ზემოთთქმულისა, ნაშრომის ძირითადი ფოკუსიდან გამომდინარე, რაც საჯარო სექტორის მხრიდან კერძო სექტორთან ეფექტურ კომუნიკაციას გულისხმობს, მნიშვნელოვანია განვიხილოთ მიდგომა, რომელსაც ეწოდება საჯარო-კერძო დიალოგი (Public-Private Dialogue, PPD) და გულისხმობს საჯარო და კერძო სექტორებს შორის პოზიციების გაცვლას საჯარო პოლიტიკის (მაგ. საკანონმდებლო ცვლილებების, რეგულაციების და ა.შ.) შემუშავების პროცესში (IDFI, 2017). აღნიშნული მიდგომა ნაშრომის ერთგვარ თეორიულ ჩარჩოდაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

საჯარო-კერძო სექტორებს შორის დიალოგი ახალი კონცეფცია არ არის. ის არაერთ ქვეყანაში იყო საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი მახასიათებელი. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში PPD გახდა კერძო სექტორის რეფორმირების მნიშვნელოვანი ნაწილი. განსხვავებულ საკითხებთან დაკავშირებით PPD-ს შეიძლება



სხვადასხვაგვარი ფორმა ჰქონდეს. მათ შორის - ფორმალური, არაფორმალური, ფართომასშტაბიანი, კონკრეტულ საკითხზე ორიენტირებული, სტრუქტურირებული, დროებითი და ა.შ. იგი შეიძლება ინიცირებული იყოს პროგრესულად მოაზროვნე მთავრობების, მეწარმეების ან ისეთი მესამე მხარის მიერ, როგორცაა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები. ხანდახან ის მოიცავს კერძო სექტორის მხოლოდ რამდენიმე წარმომადგენელს, ხანდახან კი პროფკავშირებს და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს. ის შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ის შეიძლება ორგანიზებული იყოს კონკრეტული ინდუსტრიული სექტორის, ღირებულებათა ჯაჭვის, სხვადასხვა ეკონომიკური საკითხებისა და თემების მიხედვით (Herzberg & Wright, 2006).

ავტორები საუბრობენ PPD-ის სარგებლიანობასა და იმ რისკებზე, რაც შეიძლება მისი თანმხლები იყოს. მიუხედავად იმისა, რომ PPD-მ შეიძლება დაუყოვნებლივ მოახდინოს დადებითი ზეგავლენა ამა თუ იმ რეფორმისა და პოლიტიკის განხორციელებაზე, მისი სარგებლიანობის მდგრადობა მაინც მდგომარეობს ისეთი მთავრობის არსებობაში, რომელიც უსმენს კერძო სექტორს. ამის შედეგად, შესაძლებელი ხდება, რომ მათ ერთად დაისახონ სწორი პრიორიტეტები და ისე განახორციელონ ცვლილებები და რეფორმები, რომ ისინი ქმედით იყოს. ამასთან, PPD-ის მეშვეობით პოლიტიკის რეფორმები უფრო მარტივი განსახორციელებელია, რადგან როდესაც მეწარმეებმა იციან რის მიღწევას ცდილობს მთავრობა ამ რეფორმების პაკეტებით, უფრო მეტი შანსია მათ მიმდებლობა ჰქონდეთ ამ რეფორმებისადმი და მის განსახორციელებლად იმუშაონ. მაგალითად, როდესაც ახალ კანონმდებლობას ეხება საქმე, მისი პუნქტები მეწარმეებმა შეიძლება საკუთარ წესდებებშიც კი შეიტანონ, მაგრამ თუ ცვლილებებთან დაკავშირებით ცნობიერება არ ამადლდება და არ იქნება მეწარმეების ჩართულობა ამ პროცესში, მაშინ ეს ცვლილებები მხოლოდ წესდებებსა და ფურცლებზე დარჩება (Herzberg & Wright, 2006).

PPD ხელს უწყობს გამჭვირვალობას, კარგ მმართველობას და ღიაობისა და ხარჯთსარგებლიანობის სათანადო ანალიზის წყალობით შესაძლებელი ხდება უფრო ფართო და პოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბება. PPD-ის წყალობით კერძო და საჯარო სექტორებს შორის იქმნება ურთიერთნდობასა და ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული ატმოსფერო და უმჯობესდება სოციალური ინტეგრაციისა და სამოქალაქო

საზოგადოების ხარისხი. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან არაერთ ქვეყანაში სწორედ კერძო და საჯარო სექტორებს შორის უნდობლობამ შეუშალა ხელი რეფორმების გატარებას. დიალოგის პროცესში კი მონაწილეების რეგულარული შეკრება საშუალებას აძლევს მათ ერთმანეთი გაიცნონ და გაიღრმავონ ნდობა. ამ მიმართულებით რიკარდო პინტო (2015) ყურადღებას ამახვილებს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობასა და მედიასთან სათანადო კომუნიკაციაზე, რათა მაქსიმალურად მოხდეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ინფორმირება.

ჰერცბერგისა და რაიტის (2006) მიხედვით, რა თქმა უნდა, PPD არ არის პანაცეა, რადგან თუ ის სათანადო დონეზე არ ხორციელდება, გარდა დროისა და რესურსების ხარჯვისა, პრობლემების გამწვავებაც კი შეიძლება გამოიწვიოს. ამასთან, თუ საკმარისი გამჭვირვალობა არ იქნება უზრუნველყოფილი, PPD-მ შეიძლება ხელი შეუწყოს გარკვეული ჯგუფების ინტერესების გატარებასა და ლობირებას, ხოლო მათი ინტერესები, ვინც დიალოგის პროცესში ვერ მონაწილეობდა, შესაძლოა სრულიად უგულებელყოფილი იყოს. ამიტომ ერთ თემაზე აუცილებელია რამდენიმე სამუშაო ჯგუფი არსებობდეს. გარდა ამისა, თუ PPD ინიციატივები არ გამოირჩევა ძალისხმევით რომ მცირე და საშუალო საწარმოები და რეგიონში არსებული საწარმოები ჩართოს დიალოგში, მაშინ ეს პროცესი დომინირებული იქნება დიდი და დედაქალაქში არსებული ბიზნესებით. ხელისუფლებები ხშირად დგანან იმ ცდუნების წინაშე, რომ მცირე რაოდენობის შედარებით დიდი ორგანიზაციები ჩართონ დიალოგის პროცესში, ვიდრე დიდი რაოდენობით მცირე ორგანიზაციები, რადგან ამგვარად ორგანიზება და კომუნიკაცია ბევრად უფრო მარტივია. მსგავსი პრაქტიკის გამო, ხშირად მცირე და საშუალო მწარმოებლების ინტერესები იკარგება ხოლმე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუ ბიზნეს ასოციაციები მონაწილეობენ პროცესში, ისინი მცირე და საშუალო მეწარმეებსაც წარმოადგენენ, მაგრამ რეალურად, ბიზნეს ასოციაციებიც ძალიან ხშირად საკუთარი მსხვილი წევრების ინტერესების გამტარებლები არიან.

თუ PPD ცუდად არის დაგეგმილი და არ არის ფოკუსირებული, ის შეიძლება გადაიქცეს ე.წ. „სალაპარაკო მაღაზიად“ (“Talking Shop”), რაც გულისხმობს, რომ კონსულტაციები გრძელდება დაუსრულებლად, ვერ მიიღწევა კონკრეტული შედეგები, პროცესი კარგავს სანდოობას და მონაწილეებს აღარ უჩნდებათ ჩართულობის სურვილი. ასევე, PPD-ის

წარმატებისა და შეხვედრებში მონაწილეობის მოტივაციის ხელშესაწყობად, აუცილებელია ხელისუფლების ისეთი წარმომადგენლები იყვნენ ჩართული დიალოგის პროცესში, რომ კერძო სექტორის თვალში პროცესმა უფრო მეტი ლეგიტიმურობა შეიძინოს (Herzberg & Wright, 2006).

ზემოთხსენებული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია PPD პროცესი იყოს ნათლად ფორმულირებული, გააჩნდეს კონკრეტული პრიორიტეტები, სტრატეგიები და მისაღწევი მიზნები. ამასთან, დღისწერიგი უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული, მონაწილეებს ის უნდა გააცნონ წინასწარ, რათა მათი მოლოდინები და შეხვედრების მიზნები ერთმანეთს დაემთხვეს, რაც ხელს შეუწყობს პროცესის ეფექტურად წარმართვას. ეს ყოველივე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომუნიკაციის მნიშვნელობას, რაც წინამდებარე თავში კიდევ უფრო დეტალურად იქნება განხილული.

### III. მგვ-ს დანერგვის პროცესი: აქტორები და მათთან კომუნიკაცია

#### 3.1. მგვ-ს დანერგვის პროცესში კომუნიკაციისა და კოორდინაციის მნიშვნელობა

მგვ-ს დანერგვის პროცესში კომუნიკაციისა და კოორდინაციის მნიშვნელობაზე არაერთი ავტორი წერს. მათ შორის არიან კუნზი და სხვები (2018), რომლებმაც იკვლიეს დაინტერესებული მხარეების შეხედულებები მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან და ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებით. მათ მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ კოორდინაცია და კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ზოგიერთი მათგანის მიხედვით, სხვა საკითხებთან შედარებით, ეს არის ყველაზე კომპლექსური და სასიცოცხლოდ აუცილებელი. როგორც ისინი ხსნიდნენ, ეს საკითხი პრობლემატური შეიძლება იყოს, რადგან მგვ-ს სქემები მოითხოვს კოორდინაციას ისეთ ორგანიზაციებს შორის, რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული ინტერესები. ამასთან, ეს ორგანიზაციები არ არიან ერთმანეთთან რეგულარულ კომუნიკაციას მიჩვეული. ეს განსაკუთრებით ეხებათ კერძო და საჯარო ორგანიზაციებს.

თუმცა, კომუნიკაცია შესაძლოა პრობლემა იყოს ერთი სფეროს წარმომადგენლებს შორისაც. ექსპერტი ხათუნა გოგალაძე (2019) აღნიშნავს, რომ საქართველოში კერძო სექტორი ჯერ არ არის მიჩვეული ერთად მუშაობას. მაგალითად, გერმანიაში არის უამრავი ასოციაცია და ბიზნესი ითხოვს სახელმწიფოსგან იმ მიზნების ნათლად ჩამოყალიბებას, რასაც მათ უნდა მიაღწიონ. მიზნების მიღწევის გზას/გეგმას კი თავად ირჩევენ და ამ პროცესში სახელმწიფოს ჩართულობა აღარ სურთ ხოლმე. საქართველოში კი პირიქით არის და მუდმივად ითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან მეტ ჩართულობას. მისი თქმით, ამ საკითხზე ყურადღება უცხოელმა ექსპერტებმაც გაამახვილეს.

დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაციისა და კოორდინაციის ეფექტურობა გავლენას ახდენს გადამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარებაზე და ის თუ რამდენად ეფექტურად ხდება ინფორმაციის მართვა სისტემაში, განაპირობებს მგვ-ს გამართულად ფუნქციონირებას (Kunz, Mayers, & Van Wassenhove, 2018).

ამასთან, მგვ პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება უნდა იყოს გამჭვირვალე და ობიექტური. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და იმ პირებთან, ვისზეც პოლიტიკის განხორციელება ახდენს გავლენას არის გამჭვირვალობის მთავარი ასპექტი. არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლიტიკის მიზნების შესახებ ინფორმაციის სათანადოდ მიწოდება იმ მხარეებისათვის, რომელთაც შეეხებათ რეგულაცია. პოლიტიკის განვითარების ეტაპზე გამჭვირვალობა პოლიტიკის შემოქმედებს უზრუნველყოფს, რომ პროცესში მონაწილე ძირითადი აქტორები და საზოგადოება სათანადოდ არიან ინფორმირებულები პოლიტიკის მიზნის და იმ ვალდებულებების შესახებ, რომელთა შესრულებაც აუცილებელი იქნება პოლიტიკის დანერგვის შემდეგ (OECD, 2011). მაგალითად, მოქალაქეების შემთხვევაში, გამჭვირვალობა არის მათი უფლება რომ იცოდნენ სად მიდის მათ მიერ როგორც გადასახადების გადამხდელების (ნარჩენების მართვის სერვისის ტარიფის გადახდა) და როგორც მომხმარებლების (პროდუქტის ფასში ინტეგრირებული ღირებულება) მიერ გაღებული თანხები, რათა უკეთ შეაფასონ სისტემის ეფექტიანობა (Deloitte, 2014). შესაბამისად, გამჭვირვალობა და ეფექტური კომუნიკაცია მნიშვნელოვანია, რათა აქტორები უფრო მომზადებულები შეხვდნენ მოსალოდნელ რეგულაციებსა და საჭირო ცვლილებებს. საერთო ჯამში, გამოკითხულმა მწარმოებლებმა მგვ-ს დანერგვის პროცესი უფრო მეტად გამჭვირვალედ შეაფასეს, მაგრამ ეს შეფასება, რა თქმა უნდა, არ ასახავს ზოგად სურათს, რადგან გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობა ასე თუ ისე ჩართული იყო შეხვედრებში.

„პროცესი საკმაოდ გამჭვირვალე იყო, უბრალოდ პირველ შეხვედრაზე რასაც ვისაუბრებდით, მერე დრაფტში უეცრად ახალი რაღაც გაჩნდებოდა ხოლმე და ეს იყო მოულოდნელი, თუმცა ამაზე შემდეგ ვსაუბრობდით და განხსნილები იყვნენ დისკუსიისთვის“ (ბარძიმაშვილი, 2019).

ამ სფეროს ექსპერტის კახა რუხაიას (2019) თქმით კი, „იყო ინფორმაციის გავრცელების გარკვეული მცდელობა და შეხვედრები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ვისაც სურვილი ჰქონდა ყველას შეეძლო დასწრება, მაგრამ სურვილი რომ გასჩენოდათ, ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ. შესაბამისად, ეს მათთვის გამჭვირვალე არ ყოფილა“.

დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის მნიშვნელობა ხაზგასმულია ევროკომისიის დაკვეთით დელოიტის მიერ მომზადებული ანგარიშში (2014). მგვ-ს დანერგვის საწყის ეტაპზევე პასუხისმგებლობების განმარტების გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ როგორაა დიალოგი ორგანიზებული დაინტერესებულ მხარეებსა და პროცესში ჩართულ სუბიექტებს შორის. გარკვეული პერიოდის შემდგომ, როდესაც ნარჩენების მართვის ჯაჭვი განვითარდება და მასთან ერთად გაიზრდება ჩართული მხარეების პასუხისმგებლობები, სავარაუდოდ, საჭირო გახდება ინსტიტუციური არენა, სადაც ისინი შეძლებენ რომ რეგულარულად შეიკრიბონ და განიხილონ ამ პროცესთან დაკავშირებული საკითხები. ეს უნდა იყოს პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს სისტემის გამჭვირვალობის ზრდას, ინფორმაციის გაზიარებას, სისტემის საოპერაციო მიზნებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციას, კოორდინაციის გაუმჯობესებას სისტემის ოპტიმიზაციისა და ხარჯების ეფექტურობისათვის.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სამინისტროს მიერ საკონსულტაციო საბჭოს მსგავსი ორგანო ან რაიმე მეწარმეთა წარმომადგენლობითი სამუშაო ჯგუფი არ შექმნილა.

ასეთი პლატფორმის არსებობა მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზევე, რადგან იძლევა საშუალებას, რომ პოლიტიკის დაგეგმვის დროს მოხდეს პროცესში მონაწილე აქტორების ინტერესების გათვალისწინება მათთან კონსულტაციის გზით და, შესაბამისად, უფრო ქმედითი პოლიტიკის წარმოება იყოს შესაძლებელი.

მსგავსი პლატფორმის საჭიროებაზე საუბრობენ სფეროს ექსპერტებიც და აღნიშნავენ, რომ საწყის ეტაპზე უნდა გაკეთებულიყო სპეციალური პროგრამა ამ მეწარმეებთან. ან ახლა უნდა გაკეთდეს. მუდმივი კომუნიკაცია უნდა იყოს მათთან და უნდა შეიქმნას საინფორმაციო ბაზა, სადაც მოცემული იქნება სტატისტიკური მონაცემები ნარჩენებისა და ზოგადად მთელი პროცესის შესახებ. „ბაზარი უნდა იქნას შესწავლილი. ეს არის ერთგვარი სტატისტიკა, შესაძლებლობების კვლევა (Feasibility Study), რომელიც წინ უნდა უძღვოდეს ასეთი პოლიტიკის დანერგვას, მაგრამ მსგავსი კვლევა, როგორც მე ვიცი, არ ჩატარებულა“ (რუხაია, 2019).

კონსულტაციებისა და დიალოგის მნიშვნელობაზე საუბრისას დელოიტის (2014) მიერ ჩატარებულ კვლევაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ქვეყნებშიც კი დიალოგის მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული სტრუქტურა არსებობს:

- ✓ შესწავლილი შემთხვევების უმრავლესობაში არ არსებობდა დიალოგის ოფიციალური ინიციატივა, რაც, ზოგ შემთხვევაში, მგვ-ში ჩართულ აქტორებს შორის იწვევდა სადავო ურთიერთობებს;
- ✓ კონკრეტული სტრუქტურის არარსებობა არ ნიშნავს რომ საერთოდ არ არის დიალოგი დაინტერესებულ მხარეებს შორის. ასეთ შემთხვევებში, დიალოგს აქტორებს შორის აქვს არაფორმალური სახე;
- ✓ რამდენიმე ინიციატივა ხელს უწყობს მგვ-ს აქტორებს შორის კოოპერაციას. მაგალითად, შეიძლება დაარსდეს ოფიციალური საკონსულტაციო კომიტეტი, რომელშიც გაწევრიანებულები იქნებიან პროცესში ჩართული მხარეების წარმომადგენლები.

ყოველივე ზემოთ თქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ გარემოსთვის ყველაზე მეტად სასარგებლო და ეკონომიკურად მომგებიანი მგვ-ს მოდელის მიღება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მოხდება დაინტერესებულ მხარეებთან შესაბამისი კოორდინაცია და განხილვები. მხოლოდ მარეგულირებელი აქტებისა და კანონების გამოცემა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პროგრამა პრაქტიკაში განხორცილდეს, თანაც წარმატებულად. ეს ასპექტი მოითხოვს მაღალი დონის კომუნიკაციასა და მონაწილეობას სისტემის მთავარი მოთამაშეების მხრიდან.

კომუნიკაციისა და კოორდინაციის კუთხით საქართველოში განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებზე მე-5 თავში უფრო ვრცლად იქნება საუბარი.

### 3.2. პროცესში ჩართული აქტორები და მათი პასუხისმგებლობები

„მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა ეფექტიანია მაშინ, როდესაც ამ სისტემაში ჩართული მხარეების როლები მკაფიოდ დადგენილი და ყველასათვის ცნობილია. დაინტერესებული მხარეების საქმიანობა უნდა

დაარეგულიროს კანონმდებლობამ, ხოლო ხელისუფლებამ უნდა შექმნას მონიტორინგისა და ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემა. სისტემის ეფექტიანობისათვის აუცილებელია:

- ✓ მარტივი, მკაფიო და მკაცრი კანონმდებლობა;
- ✓ ხელისუფლების მხრიდან რეგულარული შემოწმებებისა და კანონაღსრულების უზრუნველყოფა“ (GEO, 2017).

კანონმდებლობის საკითხი მომდევნო ქვეთავში იქნება განხილული, ხოლო რაც შეეხება მონიტორინგსა და აღსრულებას, მწარმოებლებიც და ექსპერტებიც ხაზს უსვამენ მის მნიშვნელობას.

„სახელმწიფოს მხრიდან სწორ მონიტორინგსა და კონტროლს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ მგვ-მ მიზნებს მიაღწიოს და ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ჯარიმა ჯარიმისთვის. სწორი მიდგომების შემთხვევაში, მგვ კარგად იმუშავებს. თუმცა, სამინისტროს მხრიდან ზედმეტად მკაცრი მიდგომებიც არ ივარგებს, რადგან ზოგიერთ კომპანიას შესაძლოა მუშაობის შეწყვეტა მოუწიოს (ბარძიმაშვილი, 2019)“.

რაც შეეხება სამინისტროს უნარს, სათანადო მონიტორინგი გაუწიოს მგვ-ს დანერგვისა და აღსრულების პროცესს, ამასთან დაკავშირებით მწარმოებლებისგან არაერთგვაროვანი კომენტარები მივიღეთ:

„მონიტორინგს თუ მოინდომებენ ეფექტურად მოახერხებენ, რადგან ეს ნამდვილად შესაძლებელია (ლომიძე, 2019)“.

„ვერ მოახერხებენ შესაბამის მონიტორინგს (კოლელიშვილი, 2019)“.

„წინა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სახელმწიფომ ვერ მოახერხა სათანადო მონიტორინგი. სახიფათო ნარჩენებზე იყო მსგავსი კონტროლი, ონლაინ-პლატფორმა არსებობს ორი წელია და დღესაც არ არის ეს ონლაინ პლატფორმა გამართული. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პირველ ეტაპზე ნამდვილად ვერ მოახერხებს“ (ბარძიმაშვილი, 2019).

ექსპერტის თქმით, „არსებულ პრაქტიკას გადავხედოთ, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის კუთხით დღეს ჩართული არის 3 ინსტიტუცია: გარემოს დაცვის



სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობა. ზედამხედველობის სამსახური მეტ-ნაკლებად მუშაობს, თუმცა, იდეალურად ვერა. მანდ არის რამდენიმე საკითხი: ერთი არის ტექნოლოგიების პრობლემა, მეორე არის საკადრო რესურსების რაოდენობა და მესამე არის ამ საკადრო რესურსების კვალიფიკაცია. საპატრულო პოლიციიდან რომ გამოვითხოვეთ ინფორმაცია გარემოს დაბინძურებაზე რეაგირების რაოდენობის შესახებ, ყველაზე კარგად მუშაობს საპატრულო პოლიცია. რატომ? იმიტომ რომ მათ აქვთ კამერები, ჩაწერის საშუალებაც აქვთ, გამოცდილება აქვთ ოქმების გამოწერის და ასე შემდეგ. ყველაზე ცუდად მუშაობს თვითმმართველობები, რატომ? საერთოდ არ ჰყავთ კადრები, უფრო მეტიც, ოქმი როგორ გამოწერონ არ იციან. იმიტომ, რომ არავის უსწავლებია. არსებული პრაქტიკისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით რომ შევხედოთ ახალ გამოწვევას, ამ გარდამავალ 2-3 წლიან პერიოდში უფრო უარეს სიტუაციას ველოდებით, რადგან მგვ გაცილებით რთული სქემაა“ (რუხაია, 2019).

კახა რუხაიას (2019) თქმით, მგვ-ს წარმატება დამოკიდებულია იმაზე თუ ამ 2-3 წელიწადში რას გააკეთებს სახელმწიფო. მხოლოდ დოკუმენტების წერით შემოიფარგლება თუ იზრუნებს ინსტიტუციურ გაძლიერებაზე, მონიტორინგის და ზედამხედველობის სამსახურებზე და კომპანიებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდებაზე.

სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია, რომ პროდუქციის ჯაჭვში მონაწილე ყველა აქტორს ჰქონდეს ინფორმაცია პროგრამის ზუსტ მიზნებზე, საჭიროებებსა და მოთხოვნებზე. ტრენინგები, საგანმანათლებლო და ინფორმაციის გავრცელების გეგმები თავდაპირველ ეტაპზევე უნდა შემუშავდეს. აღნიშნული გეგმების შემუშავებისას, აუცილებელია გათვალისწინებული იყოს რამდენიმე ფაქტორი:

- სამიზნე აუდიტორია (საზოგადოება, პროდუქტის ან პროდუქტთა ჯგუფის მწარმოებლები, სავაჭრო ასოციაციები, გაერთიანებები, ადგილობრივი საზოგადოება და გარემოსდაცვითი ჯგუფები);
- ინფორმაციული საჭიროებები (ტრენინგის სახელმძღვანელოები, ბროშურები, სემინარები და სხვა სახის პუბლიკაციები);

- გეგმის განხორციელების დროითი ჩარჩო;
- საჭირო რესურსები.

ინფორმაცია ვალდებულებებისა და მთელი პროცესის შესახებ გასაგებად და დაწვრილებით უნდა იყოს წარმოდგენილი პროდუქციის ჯაჭვში მონაწილე აქტორებისათვის. ინფორმაციის ამგვარი გავრცელება ხელს უწყობს მგვ-ს ეფექტურად და უკეთ განხორციელებას (OECD, 2011).

„ერთი შეხედვით, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება გარემოს დაბინძურებაზე მწარმოებლებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ყველაზე იოლი გზაა. რასაკვირველია, მწარმოებლების როლი მნიშვნელოვანია - მათაც აქვთ გარემოს დაცვის ვალდებულება და პასუხისმგებელი არიან იმ ნარჩენებზე, რომლებიც დაკავშირებულია მათი პროდუქციის წარმოებასთან. თუმცა, ამასთან ერთად ისინი დამოკიდებული არიან მომხმარებლებზე. ამიტომ, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პოლიტიკა მომხმარებლებზეც უნდა გავრცელდეს“ (ICMA & CENN, 2017).

მომხმარებლები ნარჩენების მართვის ჯაჭვში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტორები არიან. შესაბამისად, აუცილებელია მათი ჩართვა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პოლიტიკაში. რესპონდენტების მიერ ერთ-ერთ გამოწვევად, სწორედ ნარჩენების სეპარირების კულტურა დასახელდა. ერთ-ერთი მწარმოებლის თქმით, „ნარჩენების სეპარირების კულტურა ჯერ საქართველოში არ არსებობს. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლის მონაწილეობას“ (ს.ზ., 2019).

სწორედ ამიტომ, ინდუსტრიის წარმომადგენლებიც ხაზს უსვამენ მომხმარებლის როლს მგვ-ს ფარგლებში. მათი აზრით, მთავრობებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ პროდუქტის შერჩევას სწორედ მომხმარებლებს აქვთ არჩევანის აბსოლუტური ძალაუფლება და თავისუფლება (OECD, 2011). პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად მომხმარებელი უფრო მაღალი ფასის გამო არ ირჩევს ე.წ. მწვანე პროდუქტებს. მაგალითად, საშუალო ამერიკელისთვის ამა თუ იმ პროდუქტის უფრო მწვანე ალტერნატივა ჯერ კიდევ არ არის ფინანსურად ხელმისაწვდომი (Benveniste, 2019). თუმცა, კვლევები ადასტურებს, რომ მომხმარებლებისთვის ინფორმაციის სათანადო

დონეზე მიწოდება მნიშვნელოვანია ნაბიჯია მათი მხრიდან ინფორმირებული არჩევანის გაკეთებისთვის, რაც ზრდის მწვანე პროდუქტების ყიდვის მაჩვენებელს (Boztepe, 2016). მართლაც, მომხმარებლებს უდიდესი როლი აქვთ მგვ-ს განორციელების პროცესში. სწორედ ამიტომ, აუცილებლად უნდა მოხდეს მათი ინფორმირება ისეთ კონტექსტში, რომ მათ გაუმარტივდეთ საკუთარი პაუხისმგებლობების გააზრება. ექსპერტებიც ადასტურებენ, რომ „მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელია წარმატების მიღწევა, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, როგორც არის ნარჩენების მართვა და მგვ. თუ მოსახლეობას არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ სეპარირებულად უნდა შეაგროვოს ნარჩენები, ინფრასტრუქტურა რომც არსებობდეს მგვ-ს ძალიან გაუჭირდება“ (გოგალაძე, 2019).

პასუხისმგებლობის გააზრების გარეშე, ნებისმიერი სანქცია ეფექტურობას მოკლებულია. ცხადია, რომ სანქციები დანაგვიანებაზე აუცილებელია. თუმცა, ადმინისტრაციულ-მაკონტროლებელ რეგულაციებთან ერთად უნდა ამოქმედდეს ისეთი მასტიმულირებელი მექანიზმები, რომლებიც მოქალაქეებს აღნიშნული რეგულაციების შესრულების მოტივაციას გაუჩენს (ICMA & CENN, 2017).

მომხმარებლის როლზე საუბარია საქართველოში მგვ-ს დანერგვის პროცესთან დაკავშირებულ სამუშაო საკანონმდებლო დოკუმენტებშიც.

„ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების სამუშაო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც არსებობს სეპარირებული შეგროვების სისტემა, მომხმარებლები ვალდებული არიან ნარჩენი ზეთები სეპარირებულად განათავსონ მგვ ორგანიზაციებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად (საქართველოს მთავრობა, 2019). რასაკვირველია, მომხმარებლების ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის შექმნისა და ამოქმედების შემდეგ. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ამგვარი სისტემა საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს.

OECD (2011) ანგარიშში აღნიშნულია, რომ მგვ-ს სქემის შედგენისას მთავრობებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ აუცილებელია მომხმარებელთა

ინფორმირება მათი როლის შესახებ და მთავრობები ყველანაირად უნდა ეცადონ გამოძებნონ გზა მოხმარების უფრო მდგრადი პატერნების ხელშესაწყობად. გრძელვადიან პერსპექტივაში, რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება და მისი ნაკლები მოხმარება ხელს შეუწყობს მდგრადი პროდუქციის/მოხმარების სისტემების განვითარებას.

სწორედ ამიტომ, მგვ ორგანიზაციისა და მგვ ინდივიდუალური სქემის ერთ-ერთი ფუნქციაა საზოგადოებას რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია ნარჩენების მართვის არსებული სქემის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და სქემაში საზოგადოების მონაწილეობის მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით (საქართველოს მთავრობა, 2019);

მწარმოებლებისა და მომხმარებლების გარდა, პროცესში ჩართულნი არიან უკვე ნახსენები სხვა მნიშვნელოვანი აქტორებიც, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ ნარჩენების მართვის პროცესთან. მაგალითად, „მწარმოებელს შეუძლია მიხედოს ხმარებიდან ამოღებულ საკუთარ პროდუქციას იმ ორგანიზაციის საშუალებით, რომელიც ახორციელებს ნარჩენების მართვას მწარმოებლის სახელით და რომელსაც მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) ეწოდება; ან საკუთარი ძალებით, მწარმოებლის საკუთარი ვალდებულების (IPR) პრინციპის შესაბამისად, რომელიც თანახმადაც თავად მწარმოებელი ზრუნავს მის მიერ ბაზარზე განთავსებულ (ხმარებიდან ამოღებულ) პროდუქციაზე“ (GEO, 2017).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, PRO-ს აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი მგვ-სთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საქმესა და საინფორმაციო კამპანიების ჩატარებაში ან პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შესახებ თავად მწარმოებლების ინფორმირების კუთხით. ზოგადად კი, PRO მნიშვნელოვან როლს თამაშობს გადამუშავების სტანდარტების განვითარებასა და განხორციელებაში (Kunz, Mayers, & Van Wassenhove, 2018).

ამ მიმართულებითაც, სხვადასხვა ავტორები აქაც ხაზს უსვამენ კოორდინაციისა და კომუნიკაციის ეფექტურობის მნიშვნელობას, რადგან ამის გარეშე PRO-ების ფუნქციონირება ვერ იქნება წარმატებული (Kunz, Atasu, Mayers, & Van Wassenhove, 2014).

ამასთან, მწარმოებლის ძლიერი ზეგავლენა პროდუქციის ჯაჭვის სხვა აქტორებზე არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რათა მგვ სქემის ფარგლებში მოხდეს ქმედითი გადამამუშავებელი სისტემის ჩამოყალიბება. გამჭვირვალობა და აქტორებს შორის ურთიერთობის სიმარტივე არსებით ხასიათს ატარებს (Hotta, Hayashi, Bengtsson, & Mori, 2009).

საქართველოს შემთხვევაში, სამთავრობო აქტორების გარდა (რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ შეასრულონ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, დანერგონ და მონიტორინგი გაუწიონ მგვ პრინციპების შესრულებას) მგვ-ს დაგეგმვის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებმა, პარტნიორმა ქვეყნებმა და საწყის ეტაპზევე ხდებოდა ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება. პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნია ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერა (Press and information team of the Delegation to GEORGIA, 2018).

#### IV. მგვ-ს დანერგვის პროცესი - საერთაშორისო გამოცდილება

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება არსებობს ყველა ევროპულ სახელმწიფოში, მას ვხდებით ლათინურ ამერიკაში, აზიაში და, შეიძლება, ითქვას, რომ მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა (Bell, 2011). ზოგიერთ ქვეყანაში ის მოხალისეობრივ ხასიათს ატარებდა, თუმცა, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ამ საკითხის დარეგულირება აქტიურად დაიწყო სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობებმა და მგვ-მ არაერთგან მიიღო სავალდებულო ხასიათი (Toffel , Stein , & Lee , 2008).

ის ფაქტი, რომ ნარჩენების გადამუშავების კუთხით სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ მწირია, ხელს უშლის საერთაშორისო მონაცემებთან საქართველოში არსებული რეალობის შედარებას და, აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისთვის შესაბამისი საუკეთესო გამოცდილების მოძიებასა და გადმოღებას.

შესაბამისად, მგვ-ს დანერგვის პროცესში სტატისტიკის წარმოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა საქართველოშიც, რაც ხაზგასმით არის აღნიშნული შესაბამის კანონმდებლობაში (საქართველოს მთავრობა, 2019).

გამჭვირვალობის და, განსაკუთრებით კი, მონაცემებზე ხელმისაწვდომლობის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ევროკომისიაც (Deloitte, 2014). არასრულყოფილი მონაცემები ართულებს შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებას და ქმნის ყველაზე დიდ პრობლემას სტრატეგიის დაგეგმვის პროცესში. ეს ეხება როგორც გარემოსდაცვით, ისე ფინანსურ და ტექნიკურ ასპექტებს. მაგალითად, ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჭვირვალობა ეხმარება მწარმოებლებს უკეთ ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღონ ამა თუ იმ სქემაში ჩართვის და, ზოგადად, მთლიანი პროცესის შესახებ.

გამჭვირვალობის და არასრულყოფილი მონაცემების პრობლემა დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს არა მხოლოდ პოლიტიკის დაგეგმვის, არამედ მისი შეფასების ეტაპზეც. აღნიშნული პრობლემაა ევროკავშირის ქვეყნებშიც. სწორედ არასრულყოფილი მონაცემების გამო, ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებულ საკმაოდ დიდი კვლევის ფარგლებშიც კი გაჭირდა დაედგინათ რომელი ქვეყნის მოდელია ყველაზე ეფექტური.

ამასთან, ხელისშემშლელი ფაქტორია ისიც, რომ სხვადასხვა ქვეყანას მონაცემების დამუშავების განსხვავებული მეთოდოლოგია აქვს და, შესაბამისად, რთულდება სხვადასხვა ქვეყნების მოდელის შედარება.

საერთაშორისო გამოცდილებით, გამჭვირვალობა კიდევ რამდენიმე მიმართულებით არის აუცილებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა ხარჯებისა და შემოსავლების მიმართულებით, რადგან ხარჯთ-სარგებლიანობის ცოდნა და ეკონომიკური მონაცემების არსებობა ხელს უწყობს ვალდებულებების უკეთ შესრულებას და ახალისებს კონკურენციას. თუმცა, დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, რომ გამჭვირვალობის მხოლოდ გარკვეული დონის მიღწევაა შესაძლებელი, რადგან სრული გამჭვირვალობის შემთხვევაში იზრდება რისკი, რომ მათ მონაცემებს კონკურენტები გამოიყენებენ (Deloitte, 2014). მართლაც, გამჭვირვალობა ხელს უწყობს პროცესის ჰარმონიულად წარმართვასა და ანგარიშვალდებულებას. ამასთან, ეს მწარმოებლებს ეხმარება რომ აკონტროლონ PRO-ები და მათთვის გადახდილი თანხები.

დელოიტის (2014) კვლევით ასევე დასტურდება, რომ ევროკავშირის დონეზე კი მგვ-ს მონაცემები საჭიროებს ჰარმონიზაციას. უკეთესი მონაცემებია საჭირო, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა შეძლონ სამომავლოდ უკეთესი სტრატეგიული და პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღონ. სათანადო მონაცემების გამოქვეყნების გარეშე კი შეუძლებელია შევაფასოთ რამდენად შესრულდა ესა თუ ის მიზანი. გამჭვირვალობის ოპტიმალური დონის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება მოხდება ანგარიშგების პროცედურებსა და გამოთვლების წესებზე. ანგარიშგების ფორმატი ჰომოგენური უნდა იყოს ყველა PRO-სთვის (არ აქვს მნიშვნელობა ქვეყანასა და ნარჩენების ნაკადს), რათა შესაძლებელი გახდეს სანდო და შესადარებლად ვარგისი მონაცემების მიღება. ამასთან, შეთანხმება უნდა მოხდეს სტატისტიკის წარმოებისა და ანგარიშგების მომზადების სიხშირეზე. ევროკავშირის ქვეყნებში 36 შემთხვევის შესწავლისას გამოკითხული მგვ-ს პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების ნაწილი, აღნიშნავს რომ აუცილებელია დაზუსტეს მგვ-ს მოქმედების ფარგლები და მიზნები. ისინი ხაზს უსვამენ, რომ საჭიროა მგვ მოიცავდეს და დაწვრილებით განმარტებული იყოს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სტრატეგიული, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნებიც, მაგალითად, ეკო-

დიზაინის გაუმჯობესება და ა.შ. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება პროცესში ჩართულ მხარეთა ნაწილი, რადგან მიიჩნევენ რომ მგვ უნდა მოიცავდეს მხოლოდ საბაზისო მისიას, რაც გულისხმობს განცალკევებულ შეგროვებას, მაქსიმალურად კარგად დახარისხებას და გადამუშავებას ან ენერჯის აღდგენას იმ კუთხით, რომ მასალები და ენერჯია უკან უბრუნდებოდეს ეკონომიკურ ციკლს. შესაბამისად, ისინი არ ეთანხმებიან, რომ მგვ მოიცავდეს დამატებით ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ მიზნებს. მათ ეს მგვ-ს მისიად არ მიაჩნიათ და დამატებით ტვირთად ეჩვენებათ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკმაოდ რთულია თუნდაც იგივე ევროკავშირის ქვეყნებში მოხდეს მგვ-სთან დაკავშირებული ყველა მიზნის ჰარმონიზება. ევროკავშირში შემავალი ქვეყნები განსხვავდებიან ეკონომიკური მდგომარეობით, შესაბამისად, რთულია ყველას ერთი და იგივე მიზნები დაუსახო. თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ ნათელ და გაზომვად მიზნებზე, ამაზე, რასაკვირველია, არც ერთი ქვეყანა არ იტყვის უარს თუ მიდგომა იქნება რეალისტური და პრაგმატული და საშუალებას მისცემს სახელმწიფოებს განსხვავებული და მათთვის შესაბამისი სიჩქარით მიაღწიონ მიზნებს, ფართოდ გამოიყენონ ე.წ. შუალედური მიზნების მიღწევის ფენომენი. ეს განსაკუთრებით ეხება პატარა სახელმწიფოებს ან ისეთ სახელმწიფოებს, რომელთაც ეკონომიკური პირობების გამო უფრო მეტი დრო დასჭირდებათ მიზნების მისაღწევად. თუმცა, რეკომენდირებულია, რომ ნებისმიერი მგვ უნდა ფარავდეს ისეთ მინიმუმ წესებს, როგორცაა გეოგრაფიული არეალი და მასალის ტიპი (Deloitte, 2014).

მიუხედავად ზემოთთქმულისა, სუსტი ეკონომიკა და მზარდი უმუშევრობა შესაძლებელია მგვ-ს დანერგვისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს. მაგალითად, გერმანიაშიც კი 1980-იან წლებში მგვ-სთან დაკავშირებული კანონმდებლობის დამტკიცებას რამდენიმე წელი დასჭირდა (Lindhqvist, 1992).

საინტერესოა მგვ-ს დანერგვის საწყის ეტაპზე დანიაში არსებული დებატებიც. 1991 წელს დანიაში მსჯელობდნენ იმაზე, რომ ე.წ. „უკან დაბრუნების (take-back)“ ვალდებულება გამოსადეგი იქნებოდა მთლიანი ნარჩენების ნაკადის მხოლოდ გარკვეული რაოდენობისთვის. 1992 წელს დანიაში რამდენიმე სამინისტრომ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც, გრძელვადიან პერქექტივაში მგვ მიდგომის ე.წ. „უკან



დაბრუნების (take-back)“ ვალდებულებით შესაძლებელი იქნებოდა ნარჩენების მთლიანი რაოდენობის 15-25%-ის დაფარვა. დანიის გარემოსდაცვითი სააგენტო ხაზს უსვამდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან კოორდინაციის როლის შესრულების და ზოგადად მთლიანად ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობის არახელსაყრელობას მაშინ, როდესაც გარკვეული პროდუქციის ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მწარმოებელს. ამ კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად, აუცილებელია დაიყოს ნარჩენების მართვის ფიზიკური და ეკონომიკური პასუხისმგებლობები და მხოლოდ ეკონომიკური პასუხისმგებლობა დაეკისროს მწარმოებელს (Lindhqvist, 2000).

„ბევრ ქვეყანაში მგვ-ს დანერგვა დაიწყო ისეთი ღონისძიებების კომბინირებით, როგორცაა, მაგალითად, გარკვეული მავნე ნივთიერებების გამოყენების აკრძალვა წარმოებაში და ნებაყოფლობითი შეთანხმებების მიღწევა ძირითად მწარმოებლებთან. ამის პარალელურად, დაინერგა ნარჩენების, მაგალითად, ბოთლების ჩაბარების შემთხვევაში თანხის დაბრუნების (refunding) და მარკირების სისტემები, რამაც ხელი შეუწყო ხელახალ გამოყენებასა და რეციკლირებას. სხვა გავრცელებულ შესაძლო ინსტუმენტებს მიეკუთვნება წამახალისებელი ეკონომიკური მექანიზმების გამოყენება და განთავსებამდე ნარჩენების დაშლის/ან რაოდენობის შემცირების სავალდებულო მოთხოვნის შემოღება“ (საქართველოს მთავრობა, 2016).

საინტერესოა სხვა განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება მგვ-სთან დაკავშირებით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (2018) მონაცემების მიხედვით, ჩილე განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. ჩილეში მგვ 2015 წლიდან დაინერგა (Girling, 2015). ჩატარებული კვლევის (Gonzalez, 2018) მიხედვით გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი გამოწვევა, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია. მათ შორისაა, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და კოორდინაცია, მოქალაქეების განათლება და მონაწილეობა, ინფორმაციის მენეჯმენტი. ჩილეს მაგალითიც ადასტურებს, რომ განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, განვითარებადი ქვეყნებისათვის ინფორმაციასა და მონაცემებზე ხელმისაწვდომობა საკმაოდ დიდი პრობლემაა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად რეკომენდაციას უწევენ არსებული სამთავრობო და საინფორმაციო სისტემების მაქსიმალურ ათვისებას და გამოყენებას სტანდარტიზაციისა და ჰარმონიზაციის მეშვეობით. იმასთვის კი, რომ მგვ სისტემამ იმუშაოს, აუცილებელია

ეფექტური კოორდინაცია და კომუნიკაცია სისტემაში ჩართულ შესაბამის მხარეებს შორის.

ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში ერთი კონკრეტული ქვეყნის მოდელი არ გადმოტანილა - „ჩვენი უცხოელი ექსპერტებიც სულ აღნიშნავენ, რომ არც ერთ ქვეყანაში, ნარჩენების არც ერთ ნაკადზე დაშტამპული ერთნაირი რეცეპტები არ არსებობს. ამიტომ ვიზიარებთ კომბინირებურად, სად რა შეიძლება გაკეთდეს იმის მიხედვით. უამრავ მოდელზე შეიძლება საუბარი, თუმცა, ამ მხრივ, არაერთი დეტალია გასათვალისწინებელი, მათ შორის ის თუ ხელისუფლების რომელი შტო უფროა ამ მიმართულებით ძლიერი, ადგილობრივი თუ ცენტრალური, როგორია სამინისტროს ხედვა და ა.შ. ამიტომ ეს მოდელი რომელიმე ქვეყნის მოდელის ზუსტი ასლი არ არის. თუმცა, ხდებოდა არაერთი ქვეყნის გამოცდილების გაზიარება, მათ შორის, ამ სფეროს პიონერი ქვეყნების და იმ ქვეყნების, რომლებიც სხვადასხვა მახასიათებლების კუთხით ჩვენთან უფრო ახლოს დგანან“ (გოგალაძე, 2019).

„განიხილებოდა რამდენიმე ქვეყნის მოდელი, თუმცა, ჩემი აზრით, ეს დოკუმენტი საბოლოო ფორმას რომ მიიღებს (ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი სურვილია), იქნება ადგილობრივ რეალობაზე მორგებული. მაგალითად, ძველ თბილისში სად გინდა გააკეთო EPR-ის ცენტრი ან დეპოზიტ სისტემისათვის რამდენიმე პუნქტი, მისადგომად ძნელია და ასე შემდეგ. ამიტომ ეს უნდა იყოს მორგებული ინდივიდუალურად მუნიციპალიტეტებზე“ (რუხაია, 2019)

საქართველოში მგვ-ს დანერგვის პროცესის უკეთესად წარმართვისათვის აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების მაქსიმალური გათვალისწინება.

## V. მგვ-ს დანერგვის პროცესი საქართველოში

### 5.1. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება და კანონმდებლობა

„საქართველო არის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელის კონვენციის მხარე. შესაბამისად, საქართველოს ეროვნულმა პოლიტიკამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს სახიფათო და სხვა სახის ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო მართვას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება არის ბაზელის კონვენციის მხარეთა კონფერენციების დოკუმენტებით რეკომენდებული ერთ-ერთი მექანიზმი, რომელსაც შეუძლია აღნიშნული პროცესის ხელშეწყობა ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვებასა და/ან დამუშავებაში მწარმოებლების ჩართვისა და წახალისების საშუალებით“ (GEO, 2017).

რაც შეეხება ადგილობრივ კანონმდებლობას, „საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ განსაზღვრულია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვა სპეციფიკური ნარჩენებისთვის. სპეციფიკურ ნარჩენებს განეკუთვნება: შეფუთვის ნარჩენები (პლასტმასი, ქაღალდი, მუყაო, ხე, ლითონი, მინა), ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები, ხმარებიდან ამოღებული საბურავები, ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები, გამოყენებული ზეთები, გამოყენებული ბატარეები და აკუმულატორები“ (UNDP Georgia, 2018).

„ნარჩენების მართვის კოდექსში“ (2015) მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას ეთმობა მე-9 მუხლი. ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ისეთი პროდუქტის უშუალო მწარმოებელმა, რომელიც შემდგომ სპეციფიკური ნარჩენი ხდება, და ამ პროდუქტის ბაზარზე განმათავსებელმა უნდა იზრუნონ პროდუქტისთვის იმგვარი ფორმის მიცემაზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება:

- ა) გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირება, აგრეთვე ნარჩენების წარმოქმნის შემცირება პროდუქტის წარმოების პროცესში და შემდგომი გამოყენების შედეგად;
- ბ) პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების აღდგენა და განთავსება.

ამ პროდუქტის ბაზარზე განმათავსებელი ვალდებული არიან, უზრუნველყონ პროდუქტისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა (მათ შორის, რეციკლირება) და გარემოსთვის უსაფრთხო განთავსება. აღნიშნული ვალდებულების შესრულება შესაძლებელია ინდივიდუალურად ან კოლექტიურად – მწარმოებელთა გაერთიანების საშუალებით“.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ძალაში 2019 წლის 1-ლი დეკემბრიდან უნდა შევიდეს. ამ ვალდებულების დანერგვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის დადგენილებაში „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ (2016) განსაზღვრულია კონკრეტული მიზნები და ამოცანები.

ერთ-ერთ მიზნად დასახულია მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა სხვადასხვა ნარჩენების მართვისთვის. აღნიშნული მაჩვენებლები ასე გამოიყურება:

	2020 წლისთვის	2025 წლისთვის	2030 წლისთვის
ბატარეები	20%	50%	80%
ზეთები	50%	75%	90%
შესაფუთი მასალები	40%	75%	90%
ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა	20%	50%	80%
საბურავები	50%	70%	90%
აკუმულატორები	60%	80%	90%
ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები	20%	50%	80%

ცხრილის წყარო: (matsne.gov.ge, 2016)

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული მაჩვენებლები საკმაოდ ამბიციურია და 2019 წლის „შეფუთვის ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ“ დადგენილების სამუშაო ვერსიაში ვხვდებით შედარებით შემცირებულ მიზნებს:

- ✓ არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრამდე შეფუთვის ნარჩენის მთლიანი წონის არანაკლებ 30%-ის აღდგენა, აქედან 25%-ის რეციკლირება. ამასთან, შეფუთვაში არსებული თითოეული კონკრეტული მასალისთვის რეციკლირების მინიმალურმა მაჩვენებელმა უნდა შეადგინოს 15%.
- ✓ არაუგვიანეს 2030 წლის 31 დეკემბრამდე შეფუთვის ნარჩენის მთლიანი წონის არანაკლებ 50%-ის აღდგენა, აქედან 45%-ის რეციკლირება. ამასთან, შეფუთვაში

არსებული თითოეული კონკრეტული მასალისთვის რეციკლირების მინიმალურმა მაჩვენებელმა უნდა შეადგინოს 22,5% (საქართველოს მთავრობა, 2019).

ნარჩენი ზეთების შეგროვებისთვის კი განსაზღვრულია შემდეგი მიზნობრივი მაჩვენებლები:

- ✓ 2025 წლისთვის უნდა შეგროვდეს ნარჩენი ზეთების რაოდენობის სულ მცირე 50%
- ✓ 2030 წლისთვის უნდა შეგროვდეს ნარჩენი ზეთების რაოდენობის სულ მცირე 75% (საქართველოს მთავრობა, 2019).

აღნიშნული ნაკადების პროცენტული მაჩვენებლების შემცირება ცხადყოფს, რომ თავდაპირველ ეტაპზე არარეალისტურად იყო შეფასებული მიღწევადი მიზნები, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს სწორედ დარგის სპეციალისტებთან და მწარმოებლებთან არასათანადო კომუნიკაციით.

ამ მიმართულებით, საინტერესოა მგვ-ს დარგში წამყვან სახელმწიფოებში არსებული პრაქტიკა. მაგალითად, ნიდერლანდებში, გერმანიასა და ავსტრიაში, პირიქით, დასახული გეგმის მაქსიმუმებსაც კი აჭარბებენ (Cahill, Grimes, & Wilson, 2011). ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ მათი მიზნები არის რეალისტური, თუმცა, ამბიციური ქმედებების შედეგად, შესაძლებელი ხდება უკეთესი შედეგის მიღწევა.

დარგის სპეციალისტებთან და მწარმოებლებთან კონსულტაციის კუთხით საინტერესოა საჯარო-კერძო დიალოგის მიდგომა, რომელზეც წინა თავებში უკვე იყო საუბარი. ზოგადად, საქართველოს გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჩართულობის დონე ყველაზე დაბალია კანონპროექტის დამტკიცებამდე პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ყველაზე მეტად არის შესაძლებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოხდენა. ჩართულობის დაბალ ხარისხს რამდენიმე მიზეზი განაპირობებს:

1. კანონპროექტების ავტორები ვერ აცნობიერებენ ჩართულობის მნიშვნელობას და საჭიროებას;
2. საჯარო-კერძო დიალოგი არ არის სავალდებულო;
3. არ არსებობს საჯარო-კერძო დიალოგის საერთო ჩარჩო და გაწერილი პროცედურები;

4. კანონპროექტის ინიციატორებს არ აქვთ საკონსულტაციო პროცესის წარმართვის საკმარისი ცოდნა და უნარ-ჩვევები (IDFI, 2017).

კანონმდებლობის შემუშავების პროცესში ჩართულობისა და კონსულტაციების შესახებ რესპონდენტებსაც დავუსვით კითხვა და მათი დიდი ნაწილი ჩართული იყო კანონმდებლობის განხილვის პროცესში. მათი უმრავლესობისთვის კანონმდებლობა, საერთო ჯამში, საკმაოდ ნათელი და გასაგებია, თუმცა, არსებობს გარკვეული შენიშვნებიც. მაგალითად, კომპანია „Georgian Plus“-ის დირექტორის გივი კალანდაძის (2019) თქმით, „კანონმდებლობა გასაგებია, მაგრამ მას გააჩნია რიგი ხარვეზებისა. ამ ხარვეზებთან დაკავშირებით ჩვენ არაერთხელ ვაუწყეთ სამინისტროს, როგორც ზეპირად ისე წერილობით. 4 თვის წინ გავუგზავნეთ წერილი, მაგრამ მათგან ჩვენ წერილობითი, ოფიციალური პასუხი არ მიგვიღია. ზეპირი კომუნიკაცია არსებობს, ვითომ გვეთანხმებიან გაგზავნილ შენიშვნებთან დაკავშირებით, მაგრამ როგორ აისახა და აისახა თუ არა ეს დებულებაში, არ ვიცით“. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მხოლოდ რამდენიმე შეხვედრა საკმარისი არ არის და აუცილებელია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოთ ინფორმაცია, რამდენად აისახა მათი კომენტარები თუ შენიშვნები კანონმდებლობაში და თუ არ აისახა, მათ უნდა მიიღონ დასაბუთებული პასუხი - რატომ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მათ სამომავლო შეხვედრებში მონაწილეობის მიღების მოტივაცია გაუქრეთ.

გივი კალანდაძემ (2019) ასევე აღნიშნა, რომ „დებულებაში კარგად არ ჩანს მგვ ვალდებულების აღსრულების დროს სად არის ზღვარი გავლებული. დებულებაში არ ეწერა, რომ ჩვენ მიერ მოწყობილ ურნებში ჩაგდებული ნარჩენები ეკუთვნის მწარმოებელს. არ ჩანს რომ მწარმოებელს შეუძლია შეგროვებული ნარჩენების რეალიზება და იქიდან რაღაცა სარგებლის ნახვა. ასევე, არ ჩანს გზა თუ როგორ უნდა მივაღწიოთ იმ 40%-ს რომელიც განსაზღვრულია 2015 წლისათვის. ყოველწლიური მინიმუმი უნდა იყოს მოცემული, რომ 2015 წლამდე მივაღწიოთ 40%-ს და ესეც არ არის ჩადებული. არ ჩანს როგორი სანქციები იქნება თუ ვინმე თავს აარიდებს ვალდებულების შესრულებას. დაწყებული არ არის აღრიცხვა - მწარმოებლების რეესტრი. თუ რეესტრი არ იქნება, ძალიან ბევრს შეეძლება თავიდან აიცილოს მოვალეობები“.

განსხვავებულია მწარმოებლების მიერ კანონმდებლობის გაცნობის პერიოდები. რამდენიმე მათგანმა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ ძალაში შესვლისთანავე (2015 წელი) იცოდა, რომ 2019 წლისთვის მგვ უნდა ამოქმედებულიყო და შესაბამისად უფრო მომზადებული შეხვდა ამ პროცესს. ნაწილმა მხოლოდ მას შემდეგ გაიგო ამ ვალდებულების შესახებ, რაც სამინისტრო დაუკავშირდა მათ შეხვედრასთან დაკავშირებით. ერთ-ერთმა მწარმოებელმა კი მხოლოდ 1 თვის წინ შეიტყო ამ ვალდებულების შესახებ. რაც შეეხება მოკლე სატელეფონო გამოკითხვის შედეგად მიღებულ პასუხებს, გამოკითხული 15 რესპონდენტიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ მცირე და საშუალო მწარმოებლებს/იმპორტიორებს, 10 არ იყო ინფორმირებული (მათ სამინისტროდან არავინ დაკავშირებია), 2-მა საკუთარი წყაროებით შეიტყო მგვ-ს შესახებ და ამ ეტაპზე ცდილობენ რომ გაერკვნენ რას გულისხმობს ეს ვალდებულება და ეხებათ თუ არა ის მათ, 3-მმა რესპონდენტმა იცოდა ამ ვალდებულების შესახებ, თუმცა, არ ისურვეს დამატებით შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად გამოკითხული მსხვილი მწარმოებლების უმრავლესობა იცნობდა და ხელი მიუწვდებოდა შესაბამისი ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის პროექტებზე, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები არ იცნობდნენ იმავე დოკუმენტებს.

„კანონქვემდებარე აქტებს და დებულებებს არ ვიცნობ, ჩვენთვის არავის გამოუგზავნია, რა ინფორმაციაც შეხვედრებზე გაჟღერდა, მხოლოდ ის ინფორმაცია გვაქვს (ლ.ჭ., 2019)“.

ორმა მწარმოებელმა აღნიშნა, რომ ნარჩენების მართვის კუთხით რამდენიმე კანონმდებლობა ერთმანეთის მიყოლებით შემოვიდა და მიაჩნიათ, რომ „ეტაპობრივად უნდა გამკაცრდეს კანონმდებლობა, თორემ გარკვეული კომპანიები ვერ გაუძლებენ. გარკვეულ ვალდებულებებში მეტ დროს მივცემდი კომპანიებს“ (კოლელიშვილი, 2019).

ნარჩენების მართვის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში (2016) ასევე წარმოდგენილია ის გამოწვევები, რომლებსაც შესაძლოა წავაწყდეთ მგვ-ს დანერგვის პროცესში. პირველი მათგანი კარგად ეხმიანება ნაშრომში წამოჭრილ ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. ეს გახლავთ დაინტერესებული მხარეების ნაკლები ინფორმირებულობა

მგვ-ს შესახებ. ინტერვიუების ჩაწერის შედეგად კიდევ ერთხელ გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემა. ეს განსაკუთრებით ეხება მცირე და საშუალო მწარმოებლებს.

დადგენილებაში (2016) ასევე ნახსენებია სამი სხვა ძირითადი გამოწვევა:

- ✓ წამახალისებელი ზომების არარსებობა მგვ-ის ეტაპობრივი ჩამოყალიბებისა და დანერგვის მიზნით ისეთ სპეციფიკურ ნარჩენებთან მიმართებაში, როგორცაა, მაგალითად: გამოყენებული ბატარეები, შეფუთვის ნარჩენები, ნარჩენი ზეთები და ა.შ.
- ✓ კერძო სექტორთან ახლო თანამშრომლობისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების საჭიროება
- ✓ ქვეყნისათვის რეალური მგვ-ის მოდელის შემუშავებისა და დანერგვის საჭიროება.

საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვისას, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ თუ რა ფაქტორები ართულებს საუკეთესო პრაქტიკის მოძიებასა და ქვეყნისათვის რეალური მოდელის შემუშავებას. სხვა დამატებით გამოწვევებზე, მწარმოებლებთან კომუნიკაციაზე და ამ ყველაფერთან დაკავშირებით მწარმოებელთა განწყობებზე ნაშრომის მომდევნო ნაწილებში იქნება საუბარი.

## 5.2. კომუნიკაციისა და კოორდინაციის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები

საქართველოს ხელისუფლებამ დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური კომუნიკაცია, შეიძლება ითქვას, რომ 2018 წლის ოქტომბრიდან დაიწყო.

2018 წლის 9 ოქტომბერს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სავაჭრო პალატების, ბიზნეს ასოციაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების 200-ზე მეტი წარმომადგენელი შეიკრიბა სამუშაო შეხვედრაზე მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების განხილვისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობის მიზნით. ამ შეხვედრით ოფიციალურად დაიწყო საკონსულტაციო პროცესი მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან



დაკავშირებული სამართლებრივი დოკუმენტების პროექტებზე (დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის გუნდი GEORGIA, 2018).

ტელეკომპანია „იმედისთვის“ 2019 წლის 9 ოქტომბერს მიცემულ ინტერვიუში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ კერესელიძემ განაცხადა, რომ მგვ-სთვის საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებაში ჩართულები იყვნენ - ევროკავშირი, შვედეთის მთავრობა, გაეროს განვითარების პროგრამა და მათი პარტნიორები, ხოლო საჯარო კონსულტაციები ამ დღეს, 9 ოქტომბერს დაიწყო. მისი თქმით, კონსულტაციებში ჩართული იქნებიან კერძო სექტორის წარმომადგენლები, ბიზნეს სექტორი, ასოციაციები, სავაჭრო პალატები, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და ა.შ. როგორც მან აღნიშნა, კერძო სექტორს ჰქონდა ინფორმაცია იმ ვალდებულებების შესახებ, რომელიც მათ წარმოეშობათ 1-ლი დეკემბრიდან, თუმცა, აქტიური კონსულტაციები 9 ოქტომბერს დაიწყო და ამ დღეს მათ გაეცნოთ საკანონმდებლო ჩარჩოს პირველადი ვერსიები (ანუ კანონქვემდებარე აქტების პირველადი ვერსიები), რომლებიც ნარჩენების თითოეულ ნაკადს არეგულირებს. მისი თქმით, სამინისტრო ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად იმუშავებს ამ კანონქვემდებარე აქტებზე, რათა ერთობლივად, ყველა მხარისთვის მისაღები ვარიანტი დამტკიცდეს, რათა მიზნები ისე მიიღწეს, რომ კერძო სექტორის ინტერესები არ დაზარალდეს (იმედი, 2018).

სპეციფიკური ნარჩენების მართვაში ჩართული კერძო კომპანიების, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, დონორების და სამოქალაქო სექტორის 150-ზე მეტ წარმომადგენელთან მომდევნო სამუშაო შეხვედრა 2019 წლის 16 იანვარს გაიმართა. შეხვედრაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას (მგვ) დაქვემდებარებული სპეციფიკური ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტების პროექტები (mepa.gov.ge, 2019).

დაინტერესებულ მხარეებთან მომდევნო მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომლის დროსაც კანონქვემდებარე აქტების პრეზენტაცია მოხდა, 2019 წლის 25 აპრილს გაიმართა. პრეზენტაციას დაესწრო ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სავაჭრო პალატების და

ბიზნეს ასოციაციების 150-ზე მეტი წარმომადგენელი. შეხვედრა ჩატარდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ევროკავშირის ტექნიკური დამხარების პროექტის ერთობლივი ძალისხმევით (ინტერპრესნიუსი, 2019).

მწარმოებლებთან შეხვედრების მიმართულებით, ზემოთხსენებული 3 მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა. კომუნიკაციის კუთხით განხორციელებული ატივობებიდან აღსანიშნავია ტელევიზიით გასული მოკლე ვიდეო-რგოლი, რომელშიც საუბარია, რომ 2019 წლის 1-ლი დეკემბრიდან ძალაში შედის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება.

როგორც ხათუნა გოგალაძემ (2019) აღნიშნა, 2017 წლიდან რამდენიმე პროექტის ფარგლებში მუდმივად საუბრობნენ მგვ-ს შესახებ, „რამდენიმე ტელევიზიის მეშვეობით გადიოდა სოციალური კლიპები თუ რომელ ნაკადებს შეეხებოდა მგვ და ვცდილობდით, როგორმე მოხვედროდა კერძო სექტორს ყურში, რომ ეს ვალდებულება დაეკისრებოდათ. 2 წლით ადრე დავიწყეთ ამაზე საუბარი. ასევე, დავატრენინგეთ ჟურნალისტები, იმიტომ რომ ძალიან მნიშვნელოვანია მათ თავად ესმოდეთ ის საკითხი, რასაც აშუქებენ და, პირველ რიგში, საინტერესოდ ჩათვალონ ის. ეს ყველაფერი განხორციელდა სამინისტროსთან ერთად“.

თუმცა, კახა რუხაიას (2019) აზრით, ეს არ არის საკმარისი, საჭიროა მასშტაბური სოციალური კამპანია და მეტი კოორდინაცია. უფრო აქტიური კომუნიკაციის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა ხათუნა გოგალაძემაც.

რაც შეეხება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლების კომენტარს კომუნიკაციასთან დაკავშირებით, 2019 წლის 23 აპრილს Business Media Georgia-სთვის მიცემულ ინტერვიუში ირმა გურგულიანმა - ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ აღნიშნა, რომ სამინისტრო შეეცადა ყველა ის მწარმოებელი, რომელსაც ეხება მგვ, მაქსიმალურად ყოფილიყო ინფორმირებული, თითოეული ნაკადის წარმომადგენლებთან ხდებოდა შეხვედრები სამინისტროში. ასევე, მუნიციპალიტეტებში იყო გასვლითი შეხვედრები მუნიციპალური ნარჩენების მართვის ტრენინგების ფარგლებში. მისი თქმით, 25

აპრილის შემდგომაც მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება კომუნიკაცია ბიზნეს სუბიექტებთან (Business Media Georgia, 2019).

თუმცა, როგორც კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა მწარმოებებმა აღნიშნეს, 25 აპრილის შემდგომ მათ სამინისტრო არ დაკონტაქტებია, ამ ეტაპზე “სტაგნაციაა დიალოგის პროცესში და კომუნიკაცია გაჩერებულია“ (კალანდაძე, 2019).

### 5.3. კომუნიკაციასთან დაკავშირებით მწარმოებელთა და ექსპერტთა შეფასებები

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იმ მწარმოებლებს, რომლებიც ესწრებოდნენ წინა ქვეთავში ნახსენებ შეხვედრებს, სამინისტრო ინფორმაციას, ძირითადად, ელ-ფოსტის საშუალებით აწვდიდა. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში კომუნიკაცია ხდებოდა Facebook-ის და ტელეფონის მეშვეობითაც. ინფორმაციის მიღების წყაროდ მწარმოებლებმა დაასახელეს „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ და ნარჩენების მართვის დეპარტამენტი.

გამოკითხული მწარმოებლების უმრავლესობა მხოლოდ ზემოთხსენებულ სამ შეხვედრას დაესწრო, თუმცა, ორი მწარმოებლის შემთხვევაში ისინი იყვნენ სხვა რამდენიმე პატარა შეხვედრაზეც. როგორც ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, ყველა შეხვედრა სამინისტროს ინიცირებული იყო. მეორე რესპონდენტის - გივი კალანდაძის თქმით კი, საწყის ეტაპზე ისინი თავად დაუკავშირდნენ სამინისტროს.

„ჩვენ თავად დავეკონტაქტეთ სამინისტროს და შევახსენეთ მათ, რომ ამგვარი ვალდებულება გაგვაჩნია, ხოლო მათ გააჩნიათ პოლიტიკის წარმოების ვალდებულება და კანონით განსაზღვრული დებულებების შექმნის ვალდებულება. ჩვენ მოვთხოვეთ მათ, რომ ეთქვათ რას აკეთებდნენ ამასთან მიმართებაში (კალანდაძე, 2019)“.

ორივე რესპონდენტი საქართველოს ბაზარზე არსებულ უმსხვილეს მწარმოებლებს წარმოადგენდნენ და დაშვების დონეზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამიტომ გამოიჩინა სამინისტრომ ინიციატივა ჩაერთო ისინი დამატებით შეხვედრებში.

სხვა მწარმოებელმაც აღნიშნა, რომ „დიდი კომპანიებისათვის ეს ჩართულობა საკმაოდ მაღალი იყო, თავიდანვე მიწვეულები ვიყავით“ (ბარძიმაშვილი, 2019). მისივე თქმით, მგვ ვალდებულება წინა წელს უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ იმის გამო რომ ამ კანონის შესახებ ცოდნა ძალიან დაბალი იყო, არ იცოდნენ რა მოთხოვნები არსებობდა და კომპანიებიც ვერანაირად ვერ მოახერხებდნენ საჭირო თანხების მობილიზებას, მისი ამოქმედება გადაიდო.

ეს შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ვალდებულების ამოქმედებამდე სათანადოდ არ იყო შესწავლილი ბაზარი და არსებული რეალობა და არ მომხდარა წინასწარი კვლევა - შესაძლებლობების შესწავლა (Feasibility study).

ის ფაქტიც, რომ რამდენიმე მსხვილი მწარმოებლის გაერთიანებამ სამინისტროს დაასწრო კომუნიკაციის დაწყება, მიუთითებს იმაზე, რომ დიალოგის საჭიროება უკვე იდგა და სამინისტრომ შეიძლება ითქვას, დააგვიანა.

ერთ-ერთი მწარმოებლის (კოლელიშვილი, 2019) თქმით, სამინისტრომ მხოლოდ იმ დონეზე ჩართო მწარმოებლები დიალოგის პროცესში, რა დონეზეც მათ ევროკავშირი მოსთხოვდა.

გივი კალანდაძის (2019) თქმით, მათ გაერთიანებას ახლახანს შეუერთდა ერთ-ერთი კომპანია, „თუმცა, მათ ბევრი შეკითხვა აქვთ და გაურკვევლობაში არიან. ეს კომპანია გაწევრიანდა იმიტომ რომ ვილაცამ ურჩია. ესეც იმას ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ სათანადო ინფორმაცია. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია სამინისტროს მხრიდან კომუნიკაციის ხარვეზის“. მანვე აღნიშნა, რომ „პრობლემაა ისიც, რომ ერთი და იგივე ადამიანები და მწარმოებლები ხვდებიან სულ და ეს ჯაჭვი არ ფართოვდება. ჩვენს გარდა კიდევ სხვებიც არიან საქართველოში და თან რაოდენობრივად ათასჯერ მეტი“. მიუხედავად აღნიშნულისა, მან დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ როდესაც მათ უთხოვიათ შეხვედრა თუნდაც იგივე მინისტრთან, „დადებითად ეხმაურებიან ამას და გვხვდებიან“.

სხვა მწარმოებლებმაც აღნიშნეს, რომ სამინისტრო ცდილობდა შეხვედრებში მათ ჩართულობას და ამ კუთხით უკმაყოფილები არ არიან. თუმცა, აღნიშნავენ, რომ იგივე მგვ სახელმძღვანელოს და სხვა პუბლიკაციების მიწოდება არ იყო დროული, რადგან ძალიან ბევრი მწარმოებელი ჯერ კიდევ არ იცნობს ამ დოკუმენტებს.

„სამინისტროს საიტზე დევს სახელმძღვანელო და ჩემთვის ცნობილი იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ყველა მწარმოებელმა იცოდა და ამაზე უფრო აქტიურად უნდა ყოფილიყო საუბარი (ბარძიმაშვილი, 2019)“.

ინფორმაციის ნაკლებობის პრობლემა იკვეთება მცირე და საშუალო ბიზნესის შემთხვევაში, რადგან მათ ზუსტად არ აქვთ გაგებული ის ვალდებულებები, რაც შეიძლება მათ დაეკისროთ: “ჩვენთვის ჯერ კიდევ ბოლომდე ნათელი არ არის ის ვალდებულებები, რაც შეიძლება დაგვეკისროს ან შეგროვება როგორ მოხდება, ესეც ზუსტად ვერ გავიგეთ“ (დ.მ., 2019). „ჩვენს გარდა ამ შეხვედრებზე ხომ სხვა კომპანიებიც იყვნენ და იმათაც ანალოგიური კითხვები აქვთ“ (ლ.ჭ., 2019).

ერთ-ერთი საშუალო ზომის მწარმოებლის თქმით, სამინისტროს მხრიდან მათთან კომუნიკაცია არ ყოფილა. „დაახლოებით ერთი თვეა, რაც სხვა წყაროდან გავიგეთ რომ არსებობს ასეთი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც 1-ლი დეკემბრიდან უნდა განხორციელდეს (ს.ზ., 2019)“. მიუხედავად იმისა, რომ მან ინფორმაცია დაგვიანებით მიიღო, პასუხისმგებლობას მხოლოდ სამინისტროს არ აკისრებს და აღნიშნა, რომ „გარკვეულწილად ჩვენი ბრალიც შეიძლება იყოს, რომ ეს ინფორმაცია აქამდე არ მოვიძიეთ. არ ვფიქრობ რომ დახურული პროცესია და გამჭვირვალობა არ არის ამ პროცესში, უბრალოდ ჩვენ არ გავაკეთეთ შესაბამისი მონიტორინგი ან შეიძლება სამინისტრომ არ ჩათვალა, რომ ჩვენ ვართ მსხვილი მოთამაშე ამ ბაზარზე და ჯერ შეიძლება სეგმენტირება მოხდა, რომ მსხვილი მწარმოებლები ვინც არიან ყოფილიყვნენ პირველ რიგში ჩართული. მათ მეტი ინვესტიცია აქვთ, მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ და შეიძლება ამიტომ მოხდა აქცენტირება მსხვილ მეწარმეებზე“.

აღნიშნულ ვარაუდს ეხმიანება ექსპერტი კახა რუხაია (2019) და აღნიშნავს, რომ სამინისტრო შესაძლოა თითოეული ნაკადის შემთხვევაში, ისეთ მწარმოებლებს დაუკავშირდა, რომელიც პირველ რიგში მოგვდის თავში, არადა, „ამ დროს, იგივე

რეგიონებში, ათეულობით პატარ-პატარა კომპანიები არიან, რომლებიც არიან მწარმოებლები და EPR სისტემის აღსრულება მათი პასუხისმგებლობაცაა. ბუნებრივია, ისინი არავის არ ახსენდება, იმიტომ, რომ არ ჩანს ეს პატარ-პატარა კომპანიები. შესაბამისად, როცა გადაწყვეტილება იქნა მიღებული რომ დაკავშირებოდნენ მწარმოებლებს, უცებ ვინც გაახსენდათ და ვინც მოიძიეს, იმათ დაუკავშირდნენ. ეს, ერთი მხრივ, გამართლებულია იმით, რომ ძირითად კლიმატს ისინი ქმნიან, ძირითადად ისინი დააფინანსებენ და შექმნიან PRO-ებსაც. წვრილი ბიზნესების წვლილი პატარაა. თუმცა, სისტემა/სერვისი რომ იქმნება, ის პატარ-პატარა წვრილი კომპანიები შემდეგ ავტომატურად ერთვებიან მასში. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ არათანაბრად მიეწოდებოდათ ინფორმაცია“.

ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ადასტურებს ექსპერტი ხათუნა გოგალაძე: „ჩვენ ბიზნეს ასოციაციების და სავაჭრო პალატების მეშვეობით ვცდილობდით მცირე და მსხვილ მეწარმეებთან დაკავშირებას, თუმცა, მსხვილი კომპანიები ბუნებრივია იყო ძირითადი სამიზნე, რადგან უფრო ადვილად იდენტიფიცირებადი იყო და ბაზრის დიდი წილიც მათზე მოდის. მთავარია, მათ დაიწყონ ეს ინიციატივა და დანარჩენები შეუერთდნენ. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არც ერთ მცირე მეწარმეს არ უზღუდავს იმის საშუალებას, რომ თუ თვითონ აიღებს ინიციატივას თავიდანვე ჩაერთოს პროცესში“ (გოგალაძე, 2019).

ინფორმაციის სხვადასხვა და რაც შეიძლება მეტი წყაროთი გავრცელების საჭიროებას ხაზს უსვამენ გამოკითხული მწარმოებლებიც: „როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი კანონი შემოდის, უფრო მეტად და ბევრი წყაროთი უნდა მოხდეს კომუნიკაცია, რომ ბიზნესი იყოს ინფორმირებული. სერიოზული ცვლილებებია და მომზადება, გაცნობა, გააზრება მოითხოვს დროს და მით უმეტეს, როცა კოლექტიური გაერთიანებების შექმნა საჭირო (ს.ზ., 2019)“.

მათი განწყობების უკეთ წარმოსაჩენად, მწარმოებლებს ვთხოვეთ 1-დან 5-მდე სკალაზე (სადაც 1 არის ძალიან ცუდი, ხოლო 5 ძალიან კარგი) შეეფასებინათ სამინისტროს მხრიდან მათთან კომუნიკაციის ხარისხი. მიღებული შედეგები მოცემულია წინამდებარე ცხრილში:

კრიტერიუმები	შეფასებების საშუალო
სამინისტროს მხრიდან კომუნიკაციის ეფექტურობა	3,50
მგვ-ს შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება	2,6
ზოგადად, რამდენად ნათელი/გასაგები იყო სამინისტროს მხრიდან კომუნიკაცია	3,75
რამდენად დროული და ამომწურავი იყო თქვენს შეკითხვებზე პასუხი სამინისტროს მხრიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	3,3
როგორ შეაფასებდით მონაცემებზე ხელმისაწვდომობას	3,75
რამდენად კარგად გაუწია სამინისტრომ კოორდინირება შეხვედრებს დაინტერესებულ მხარეებს შორის?	3,6
როგორ შეაფასებდით ინფორმაციული საჭიროებების გათვალისწინებას (ტრენინგის სახელმძღვანელოები, ბროშურები, სემინარები და სხვა სახის პუბლიკაციები როდის გაგიზიარეს და, თქვენი აზრით, რამდენად დროული იყო)	2,6

როგორც ვხედავთ, ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო მგვ-ს შესახებ ინფორმაციის დროულმა მიწოდებამ და ინფორმაციული საჭიროებების გათვალისწინებამ.

თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ მწარმოებლების შემთხვევაში, რომლებიც ესწრებოდნენ შეხვედრებს, მნიშვნელოვანი კორელაცია მგვ-ს შესახებ ინფორმაციის ადრეულ მიღებასა და სამინისტროს მხრიდან კომუნიკაციის დადებითად შეფასებას შორის არ გამოვლენილა. პირიქით, იმ რესპონდენტმა, რომელსაც ყველაზე ადრეულ ეტაპზე ჰქონდა კომუნიკაცია სამინისტროსთან, ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებში ყველაზე დაბალი ქულით შეაფასა სამინისტრო.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა საინტერესო ტენდენცია. მწარმოებლების უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს მგვ-ს დანერგვას და დადებითად აფასებს ამ ვალდებულებას.

„მგვ ძალიან საჭიროა და ვეთანხმები, რომ მწარმოებელი ვალდებულია თავის ნარჩენს მიხედოს (ლომიძე, 2019)“.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მწარმოებლები ასევე ხაზს უსვამენ ვალდებულების ეტაპობრივად დანერგვის აუცილებლობას:

„ვთვლი, რომ ეს კანონი როგორც ასეთი საჭიროა ქვეყნისთვის, მაგრამ იმ დატვირთვით როგორც ეს ევროკავშირის ქვეყნებშია, ჩვენთვის ჯერ ადრეა. დიდ ხარჯებთანაა ეს ყველაფერი დაკავშირებული, აქედან გამომდინარე ბევრი კომპანია ან ვერ გაუძლებს და უგულვებელყოფს კანონს ან დაიხურება. და ვინც გაუძლებს მოუწევს ფასები გაზარდოს

საკუთარ პროდუქციაზე, რაც ისედაც ღარიბ მოსახლეობაზე უარყოფითად აისახება“ (კოლელიშვილი, 2019).

„საბოლოო ჯამში, როგორც მოქალაქეს ეს ძალიან მომწონს, რადგან სასიკეთოა ჩვენი გარემოსთვის, მაგრამ როგორც კომპანიის წარმომადგენელს ბოლომდე დადებითი დამოკიდებულება ვერ მექნება, ძალიან ბევრი კანონი მივიღეთ ერთდროულად, ჯარიმების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა. რაღაც ინტერვალები უნდა ყოფილიყო კანონების მიღებას შორის პროცესში, რადგან ერთდროულად ხუთი კანონის ფეხის აწყობა საკმაოდ რთული არის და მგვ-ს დანერგვის საწყის ეტაპზეც, სავარაუდოდ, საკმაოდ გაგვიჭირდება. საშუალო განწყობა გვაქვს, როგორც ბიზნესს“ (ბარძიმაშვილი, 2019).

მეწარმეთა დადებით განწყობებს ხაზს უსვამს ექსპერტი კახა რუხაიაც (2019) და აღნიშნავს, რომ „მე რაც მქონია შეხება ამ დიდ მეწარმეებთან, ყველა ერთხმად აღიარებს და ამბობს, რომ კი აუცილებელია გარემოზე ზრუნვა და აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობა. ამით პირველი ეტაპი უპრობლემოდ გადალახულია, რადგან მწარმოებლისთვის არ გვაქვს ასახსნელი, რომ საკუთარი პროდუქციის ნარჩენებზე თავად უნდა იყვენენ პასუხისმგებელი. მაგრამ უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო. მწარმოებელი თანახმაა, მაგრამ უნდა მივაწოდოთ როგორ შესრულდეს მისი სურვილი. პასუხი არის ის რომ მეტი კომუნიკაცია მეწარმეებთან, ხელისუფლების მეტი ჩართულობა. ადრეც ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ სახელმწიფოს ფუნქცია არ უნდა იყოს მარტო ზედამხედველობა, მისი ფუნქცია უნდა იყოს თანამშრომლობა, მონიტორინგი. ჩასაფრების პოლიტიკაც არ უნდა იყოს.“

თუმცა, ექპერტ ხათუნა გოგალაძის (2019) თქმით, კერძო სექტორის წარმომადგენლები არ არიან გახსნილები მგვ-ს მსგავსი ინიციატივების მიმართ. „მაგალითად, გვექონდა შემთხვევა როცა ელექტრო პროდუქციის ერთ-ერთი მსხვილი შემომტანი ვერ მოვიყვანეთ ასეთ საინფორმაციო შეხვედრებზე, სადაც უცხოელი ექსპერტებიც გვყავდა ჩართული“.

მგვ-ს დანერგვის პროცესთან დაკავშირებულ სხვა გამოწვევებსა და მეწარმეთა შეფასებებზე მომდევნო ქვეთავში იქნება საუბარი.



#### 5.4. მგვ-სთან დაკავშირებული გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში

მგვ მიდგომა გარკვეული გამოწვევებით ხასიათდება. ევროპაშიც კი მგვ-ს დანერგვის საწყის ეტაპზე არ იყო გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ტიპის ნარჩენს აქვს გარკვეული ღირებულება (მაგალითად, ალუმინის ქილებს, ქაღალდს, ხმარებიდან ამოღებულ ავტომობილებს, ბატარეებს), რამაც შეიძლება გამოწვევები წარმოშოს მწარმოებლებისათვის. პირველ რიგში, მგვ სისტემის გარეთ ხდება საკმაოდ დიდი მოცულობის ნარჩენების შეგროვება/გამოყენება, რაც ვერ ხვდება მგვ ანგარიშებში და PRO-ებს შესაძლოა გაუჭირდეთ შეაგროვონ საკუთარი ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი რაოდენობის ნარჩენები. მეორე პრობლემა კი მდგომარეობს იმაში, რომ მწარმოებლებს უწევთ დააფინანსონ ისეთი ნარჩენების გადამუშავება, რომლებიც გადამუშავების შემდგომ შემოსავალს არ იძლევიან. შესაბამისად, მათთვის იზრდება ხარჯები (Kunz, Mayers, & Van Wassenhove, 2018).

სწორედ ხარჯები და ნარჩენების შეგროვება დასახელდა გამოკითხული მწარმოებლების მიერ ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად.

„ყველასთვის მთავარი გამოწვევა ალბათ შეგროვება იქნება (ლ.ჭ., 2019)“.

„ოპერირების გამოწვევები იქნება აუცილებლად, იმიტომ რომ მუნიციპალიტეტები ვერ ახერხებენ სეპარირებულ შეგროვებას. ეს გამოწვევა იქნება განსაკუთრებით რეგიონებში და სოფლებში (ლომიძე, 2019)“.

„შეგროვების მექანიზმებზე გვაქვს გარკვეული შეკითხვები. მაგალითად, პლატმასის ბოთლების შეგროვებისთვის იყო „ჩასაყლაპი“ აპარატების დადგმის იდეა, თუმცა, ეს იმდენად ძვირია, რომ საქართველოს შემთხვევაში რამდენად გამოდგება, სათუთა. სკანდინავიის ქვეყნების ეკონომიკას ვერ შევედრებით ამ მიმართულებით, რომ ასეთ ხარჯებს გავწვდეთ (ბარძიმაშვილი, 2019)“.

აღნიშნულ საკითხს ეხმიანება ექსპერტი კახა რუხაიაც (2019) და აღნიშნავს, რომ დეპოზიტ სისტემის დანერგვა საკმაოდ რთული და ძვირადღირებული იქნება, რადგან სიმკვირეს რომ თავი გავანებოთ ამ სისტემის აწყობას სჭირდება ინფრასტრუქტურა. ძველ თბილისში, ფაქტობრივად, ამ აპარატების დასადგამი ადგილიც არ არის. ამიტომ, მისი

თქმით, ეს უნდა გაკეთდეს უბან-უბან. თავიდან შეიძლება განხორციელდეს, როგორც რამდენიმე საპილოტე პროექტი და ნელ-ნელა ასე 2-3 წელიწადში გარკვეულ დონეს მიაღწიოს. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მწარმოებლების დახმარებას პრაქტიკაში განახორციელონ ქმედითი ნაბიჯები. მხოლოდ კანონმდებლობის შექმნა საკმარისი არ არის, იმიტომ რომ ვინც ეს კანონმდებლობა უნდა ადასრულოს არის მოსახლეობა, ბიზნესი და მაკონტროლებელი სისტემა. “მათი ერთად ამოქოქვა, ისე, რომ ყველაფერი ზედმიწევნით შეასრულოს, რთულია. ყველაფრის ერთმანეთთან დაკავშირებას ჭირდება ის ტექნიკური ინსტრუმენტები, რომელიც უნდა გაკეთდეს. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამას ვინ გააკეთებს, ან რომელი დონორი აიღებს ამას თავის თავზე ან ვის თხოვს სახელმწიფო დახმარებას, ამაზე ინფორმაცია მე არ გამაჩნია. ამის გარეშე, EPR სისტემა იქნება ნახევარფაბრიკატი, რომელზეც შეიქმნა ნორმატიული დოკუმენტი და ჩამოდებული იქნა თაროზე. ვერ აღსრულდება ფიზიკურად“.

სხვა გამოწვევებს შორის დასახელდა ინფრასტრუქტურის არარსებობა, გადამამუშავებელი ქარხნების ნაკლებობა, დასაწყობების ობიექტების მოწყობა, სათანადოდ ძლიერი ნარჩენების მართვის კომპანიის მოძიება, კადრების კვალიფიკაცია, ხარჯი, გარემოსდაცვითი კულტურის ნაკლებობა, სუსტი ეკონომიკა.

გარემოსდაცვითი კულტურის ნაკლებობა, მართლაც დიდ პრობლემას წარმოადგენს და ამაზე ყურადღება გაამახვილა კახა რუხაიამაც (2019) და აღნიშნა, რომ როდესაც მათმა ორგანიზაციამ დაიწყო სეპარაციის სიტემა თბილისის ქუჩებში, ნარჩენების 70-80% იყო არეული, თუმცა საზოგადოებასთან ინტენსიური საინფორმაციო შტურმის შედეგად, სიტუაცია შედარებით გამოსწორდა. მან ყურადღება გაამახვილა მოკლე, გასაგები და სწორი მესიჯების აუცილებლობაზე, რადგან EPR სისტემაზე გადასვლის შემდეგ კიდევ უფრო მეტი სამუშაო იქნება მოსახლეობასთან.

ერთ-ერთი მწარმოებლის აზრით, „გადამამუშავებელი კომპანიების პოვნაც საკმაოდ რთული იქნება, რადგან, მაგალითად ზეთის გადამამუშავებელი კომპანიებიც საკმაოდ ცოტაა ბაზარზე. დასაწყობების ობიექტების მოწყობაც პრობლემა იქნება, ეს საკმაოდ რთულია, რადგან ნარჩენების მართვის კომპანია ძალიან ძლიერი უნდა იყოს. ასეთი

კომპანია მაქსიმუმ ერთი და ორი ვიპოვნოთ, ისინიც რამდენად შეძლებენ თუნდაც ამ ნარჩენის ტრანსპორტირებას დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას“ (ბარძიმაშვილი, 2019).

შეგროვების პრობლემის მოგვარება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ნარჩენების შეგროვებით ჩნდება ნედლეული, მისი გადამუშავება შეიძლება ადგილზე, მაგრამ თუ აქ ვერ გადამუშავდა, მისი ექსპორტზე რეალიზაცია პრობლემა არ არის, რადგან ნარჩენები გადის არაერთ ქვეყანაში და მსოფლიოში მასზე მოთხოვნა ძალიან დიდია. ერთადერთი რისი ექსპორტიც არ იქნება საჭირო, ეს არის შუმის ნარჩენები, რადგან ქსნის ქარხანას ორჯერ მეტი წარმადობა აქვს, ვიდრე საქართველოში პოტენციურად შეიძლება წარმოიქმნას ნარჩენი (რუხაია, 2019).

ამასთან, ხათუნა გოგალაძე (2019) ყურადღებას ამახვილებს უკვე არსებული სისტემის გაძლიერებაზე. რადგან არიან ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომლებიც უბან-უბან აგროვებენ სხვადასხვა სახის ტექნიკას. შემდგომ მიაქვთ ჯართის შემგროვებელ პუნქტებში, იქ მოაცლიან რკინის ნაწილს და დანარჩენი ჩვეულებრივად ნაგავსაყრელზე ხვდება, ისე რომ არ აკმაყოფილებენ სტანდარტებს. ეს პირები არ არიან დარეგისტრირებულები როგორც ნარჩენების დამუშავებაში მონაწილე ობიექტები. თუმცა, მათთვის მუშაობის აკრძალვას ჯობს, რომ მათ თავიანთი ობიექტი გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით მოაწყონ.

უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოში მხოლოდ რამდენიმე მსხვილ კომპანიას აქვს ნარჩენების გადამუშავების გამოცდილება, თუმცა, აქამდე სისტემური მიდგომა არ ყოფილა. საინტერესო მაგალითია ქუთაისში არსებული საწარმო, სადაც ხდება გადამუშავებული საბურავისგან ენერჯის აღდგენა/მიღება და ასევე მილების წარმოება, რომლებიც გამოიყენება სარწყავი სისტემების მიმართულებით. ეს არის დამატებითი შესაძლებლობა ბიზნესისთვის, რომ სწორად მართული ნარჩენების შემთხვევაში მათ დამატებითი შემოსავალი მიიღონ (ნავდარაშვილი, 2019)“.

ხათუნა გოგალაძის (2019) თქმით, „ბიზნესს ვუხსნიდით, რომ მგვ შეიძლება მათი მხრიდან გამოწვევად ჩანს, რაც ასეც არის, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის ახალი ბიზნეს შესაძლებლობები, ახალი სამუშაო ადგილები, საქმიანობის სფეროს გაფართოება,

თუნდაც მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა, სართაშორისო ბაზარზე სახელის გატანა იმიჯის კუთხით“.

გარდა ამისა, მწარმოებლების მხრიდან ერთ-ერთ გამოწვევად დასახელდა ზედამხედველობის სამსახურის სისუსტე და კომპეტენტურობა. „კომუნიკაციაზე მეტად, შემოწმება და ისინპექტირება უფრო არის ხოლმე სამინისტროს ხარვეზი. თუ შესაბამისი მონიტორინგი არ იყო, ბიზნესი შეეცდება თავი აარიდოს ვალდებულებებს (ბარძიმაშვილი, 2019)“. შესაბამისად, მგვ აღსრულების მიმართულებით მნიშვნელოვანია კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმები სათანადოდ ფუნქციონირებდნენ.

თუმცა, მგვ-ს დანერგვა ორმხრივი პროცესია და პასუხისმგებლობის სრულად სახელმწიფოზე გადაბარება არ არის გამართლებული. გამოკითხულმა მწარმოებლებმაც აღნიშნეს, რომ ზოგიერთმა მწარმოებელმა იცის მგვ-ს შესახებ, მაგრამ იმალებიან. სფეროს ექსპერტმაც (გოგალაძე, 2019) აღნიშნა, რომ უჭირდათ ზოგიერთი მწარმოებლის შეხვედრაზე მოყვანა და უწევდათ იმის ახსნა, რომ იმ ადამიანებზე მეტად, ვინც კაბინეტებში მუშაობს მგვ-ს კანონმდებლობის შემუშავებაზე, შესაძლოა მწარმოებლებმა უკეთ იცოდნენ ამ საქმის სპეციფიკა.

თუმცა, ზოგიერთ მწარმოებელს უბრალოდ არ აქვს ინფორმაცია და შესაბამისად, 1-ლი დეკემბრისთვის მწარმოებელთა დიდი ნაწილი ვერ იქნება მზად ახალი ვალდებულების შესასრულებლად.

რაც შეეხება უშუალოდ გამოკითხულ მწარმოებლებს, მათი ნაწილი თვლის, რომ მგვ ვალდებულების ამოქმედების დროს (2019 წლის 1-ლი დეკემბერი) ისინი მზად ან ნაწილობრივ მზად იქნებიან ამ სისტემით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების შესასრულებლად. ზოგიერთს კი უჭირს წინასწარ ამის განსაზღვრა.

ერთ-ერთმა მწარმოებელმა აღნიშნა, რომ „ალბათ როგორც კი დაგვაჯარიმებენ მაშინვე მზად ვიქნებით. ეს ყველაფერი ტოპ-მენეჯმენტზეც არის დამოკიდებული. მგვ-ს შესახებ ინფორმირებულები ვართ, მაგრამ კომპანიაში ჯერ საუბარი აქტიურად არ დაწყებულა. ზოგადად, კომპანიაში ხშირად ხდება ხოლმე ასე - ჯარიმისთვის ლოდინი. პრინციპში, საკმარისი დრო გვქონდა მოსამზადებლად, მაგრამ როგორც ყოველთვის ყველას გვიყვარს რომ ბოლო წუთამდე მივიყვანოთ“ (ბარძიმაშვილი, 2019).

ერთ-ერთი ბიზნეს ასოციაციის თანამშრომელმაც (ნ.მ., 2019) საუბრისას აღნიშნა პირადი მოსაზრება, რომ „ამ ეტაპზე ძალიან დიდი მნიშვნელობა არ აქვს მომავალ წელს ამოქმედდება ეს რეგულაცია თუ ხვალვე, რადგან მომავალშიც ეგ პრობლემები ექნებათ მწარმოებლებს და მათ ნაწილს რომ ჰკითხო „ვერასდროს ვერ ჩაერთვებიან ამაში.“ თუმცა, მანვე აღნიშნა, რომ შეხვედრების დროს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ბოლომდე ჩამოყალიბებული არ იყო სამინისტრო.

სწორედ ამიტომ, მწარმოებლების მხრიდან ნაკლები მზადყოფნა, რა თქმა უნდა, არ ამცირებს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ სათანადო დიალოგი აწარმოოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან და დროულად მიაწოდოს მათ საჭირო ინფორმაცია.

თუ არ ჩავთვლით საქართველოში არსებულ ერთადერთ გაერთიანებას (Georgian Plus), რომელიც უკვე მზადაა PRO-დ დარეგისტრირდეს, გამოკითხული მწარმოებლებიდან არც ერთი არ იყო მწარმოებლის გაფართოებული ორგანიზაციის წევრი და ზოგიერთ მათგანს არ ჰქონდა ბოლომდე ჩამოყალიბებული პოზიცია მგვ სისტემის განხორციელების რომელ სქემას აირჩევდა ინდივიდუალურს თუ კოლექტიურს. თუმცა, მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ვალდებულებასთან ერთობლივად გამკლავება უფრო მარტივი იქნება. ამასთან, რესპონდენტებმა არ იცოდნენ წლიურად რა დამატებითი ხარჯის გაწევა მოუწევდათ მგვ პაუზისმგებლობების შესასრულებლად, თუმცა, ყველა მათგანი აღნიშნავდა, რომ ხარჯი იქნებოდა საკმაოდ დიდი.

„1-ლი დეკემბრისთვის რთული იქნება რომ მზად ვიყოთ. სხვა კომპანიების გამოცდილებასაც გავითვალისწინებთ. ჩვენნაირ კომპანიებსაც მოვიკითხავთ, რადგან მარტო ამ პროცესთან გამკლავება რთული იქნება. თუმცა, მენეჯმენტმა უნდა მიიღოს ამაზე გადაწყვეტილება და რთული იქნება ზუსტი პასუხი გითხრათ (ს.ზ., 2019)“.

„დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს (დ.მ., 2019)“.

კითხვაზე თუ როგორ შეიძლება დაიძლიოს არსებული გამოწვევები, ძირითადად მსგავსი შინაარსის პასუხები მივიღეთ: „გამოწვევების დასაძლევად საჭირო იქნება სახელმწიფოს უფრო მეტად გააქტიურება, მეტი ჩართულობა, მეტი მოთხოვნები და ის ვალდებულებები, რაც თავის მხრივ აქვს სახელმწიფოს ამის შესრულება“ (ლომიძე, 2019).

„მგვ-ს დანერგვის კუთხით გამოწვევები დაძლეული იქნება თუ იქნება კიდევ უფრო მეტი ინტენსიური კომუნიკაცია მწარმოებლებსა და სამინისტროს შორის. სამინისტრომ ჯერ მწარმოებლებს უნდა გააგებინოს, რომ ასეთი ვალდებულება წარმოეშობათ, გააგებინოს რა ვალდებულებები წარმოეშობათ და, რა თქმა უნდა, ყველას ძალისხმევით ეს მიღწევადი იქნება. მიღწევადი რომ არ იყოს, ვიტყვით რომ მიუღწევადია და სხვა შენიშვნები და კომენტარები გვექნებოდა. მიღწევადი ვერ იქნება თუ ეს მარტო მინისტრმა იცის სამინისტროში, შესაბამისმა დეპარტამენტებმა და 8 კომპანიამ. სამინისტრო რაღაც პერიოდების განმავლობაში აწარმოებს შეხვედრებს მწარმოებლებთან, მაგრამ, როგორც ჩანს ეს არასაკმარისია, რათა მოხდეს მწარმოებლების ინფორმირება თუ რამდენად მნიშვნელოვანი ვალდებულება წარმოექმნებათ მათ 2019 წლის ბოლოსთვის“ (კალანდაძე, 2019).

რაც შეეხება მგვ-ს პერსპექტივებს საქართველოში, მწარმოებლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა რომ მოკლევადიან პერიოდში საკმაოდ ბევრი გამოწვევა იქნება და საქართველოს ბაზარი ფაქტობრივად არ არის მზად აღნიშნული ვალდებულების დასაწერად, გრძელვადიან პერსპექტივაში ამ მიდგომამ უნდა იმუშაოს. ამასთან, მართალია ბიზნესისთვის ხარჯი იზრდება, მაგრამ ნარჩენების მართვის სფეროში შესაძლებელი იქნება დამატებითი ადამიანების დასაქმება.

მგვ-ს დადებით გავლენაზე საუბრობენ ის კომპანიებიც, რომლებიც მომსახურებას იღებენ მწარმოებლებისგან. მაგალითად, TBC ბანკის გრემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მენეჯერის (სარალიძე, 2019) თქმით, „ისეთი კომპანიებისთვის, რომლებსაც აუთსორს კომპანიები უწევენ გარკვეულ მომსახურებებს, რის შედეგადაც სახიფათო ნარჩენები რჩება (მაგ: საბურავები, აკუმულატორები, კარტრიჯები და ა.შ.) მგვ-ის შემოღება უფრო ამარტივებს ნარჩენების მართვის საკითხებს. კერძოდ კი, კომპანიებს აღარ უწევთ დამატებითი ძალისხმევის, ადამიანური, დროითი თუ ფინანსური რესურსების გამოყოფა იმისათვის, რომ კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით მართოს ნარჩენები, რადგან სწორედ მგვ დაარეგულირებს ამ საკითხებს და უკვე კანონმდებლობის დონეზე განისაზღვრება თუ ვის პასუხისმგებლობაში იქნება სახიფათო ნარჩენების გადამუშავება. დღევანდელი მდგომარეობით, როცა მგვ ძალაში ჯერჯერობით არ არის, აუთსორს კომპანიებთან მსგავსი ვალდებულებების დაკისრებაზე

(რომ საბურავები კვლავ თავის ბალანსზე დაიტოვონ და რომ გამოვიყენებთ, კვლავ მას ჩავაბაროთ და მათ გაუკეთონ უტილიზაცია) გვიწევს მოლაპარაკებების გამართვა და ამ საკითხის ხელშეკრულებაში ინდივიდუალურად გაწერა. არის შემთხვევები, როცა კომპანიები ამ საკითხზე კონსესუსს ვერ აღწევენ, რის შედეგადაც სახიფათო ნარჩენები სამართავად გადაეცემა "მომხმარებელ" კომპანიას, რომელსაც შესაძლოა არც ჰყავდეს გარემოსდაცვითი მენეჯერები და ვერ შეძლოს სახიფათო ნარჩენების შესაბამისად უტილიზაცია და, რა თქმა უნდა, დაარღვიოს კანონმდებლობის მოთხოვნები. სწორედ "მომხმარებელი" კომპანიებისთვის მგვ-ს შემოღება მკვეთრად ამარტივებს ამ საკითხს. ამ ყველაფრის დადებითი გავლენა კი სწორად უტილიზებული სახიფათო ნარჩენები და გარემოზე მიყენებული ნაკლები ზიანია“. როგორც ვხედავთ, მგვ-ს დანერგვას აქვს ერთგვარი „სპილოვერ ეფექტი“ (Spillover Effect) და ის სასარგებლოა არა მხოლოდ გარემოსდაცვითი კუთხით, არამედ ბევრად ამარტივებს თავად კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობას.

გამოწვევების დაძლევის მიმართულებით ორივე ექსპერტი ხაზს უსვამს, მგვ-ს დანერგვის პროცესში კომპეტენტური პირების, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის აუცილებლობას, რადგან ინფორმაციისა და გამოცდილების ნაკლებობა მგვ-ს სათანადოდ განხორციელების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია.

## დასკვნა

კვლევის შედეგად, მგვ-ს დანერგვის პროცესში საჯარო-კერძო დიალოგის კუთხით, რამდენიმე ძირითადი მიმართულებით გამოიკვეთა ხარვეზები. ერთ-ერთი იყო დოკუმენტების არასაკმარისი საჯაროობა.

სამინისტრო კერძო სექტორთან პირველივე შეხვედრის ძირითად მიზნად მათთან კონსულტაციასა და კანონქვემდებარე აქტების განხილვას ასახელებდა. თუმცა, მოთხოვნის მიუხედავად, სამინისტრომ აღნიშნული აქტები არ გამოგვიგზავნა. ამასთან, ერთ-ერთმა მწარმოებელმა აღნიშნა, რომ მათ არ მიუღიათ წერილობითი პასუხი მგვ-სთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებზე და არ იციან ეს კომენტარები გათვალისწინებული იქნება თუ არა საბოლოო დოკუმენტში. შესაბამისად, კიდევ ერთხელ იკვეთება დიალოგის პრობლემა და ისეთი პლატფორმის შექმნის აუცილებლობა, სადაც განთავსდება მგვ-სთან დაკავშირებული და მუდმივად განახლებადი ყველა საჭირო ინფორმაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს საჯარო-კერძო დიალოგის სათანადოდ განხორციელებას და პროცესის ეფექტიანობას.

გარდა ამისა, არ მოხდა დაინტერესებული მხარეების სრულყოფილად მოძიება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა დიალოგის პროცესში. მართალია, მგვ-სთან დაკავშირებულ შეხვედრებში მონაწილეობა ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლო, მაგრამ ტენდენციების დონეზე გამოიკვეთა, რომ სამინისტრომ მსხვილი მწარმოებლები უფრო მეტად ჩართო დიალოგის პროცესში ვიდრე საშუალო და მცირე მწარმოებლები. შედეგად, არაერთ მწარმოებელს ჯერ კიდევ აქვს კითხვები საკუთარ როლებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით, ხოლო მწარმოებელთა ნაწილი საერთოდ არ არის ინფორმირებული მგვ-ს შესახებ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ იმ მწარმოებლების შემთხვევაში, რომლებიც ესწრებოდნენ შეხვედრებს, მნიშვნელოვანი კორელაცია მგვ-ს შესახებ ინფორმაციის ადრეულ მიღებასა და სამინისტროს მხრიდან კომუნიკაციის დადებითად შეფასებას შორის არ გამოვლენილა. პირიქით, იმ რესპონდენტმა, რომელსაც სხვებთან შედარებით ადრეულ ეტაპზე და ხშირად ჰქონდა კომუნიკაცია სამინისტროსთან, ყველაზე დაბალი ქულით შეაფასა მისი მხრიდან კომუნიკაციის ხარისხი.



რაც შეეხება მწარმოებელთა განწყობებს უშუალოდ მგვ-სთან დაკავშირებით, ისინი ნათლად ხედავენ მგვ-ს საჭიროებას, დადებითი განწყობები აქვთ ამ სისტემის მიმართ და მიაჩნიათ, რომ მიუხედავად იმ გამოწვევებისა, რაც უკვე არსებობს და რამაც შეიძლება სამომავლოდ იჩინოს თავი, გრძელვადიან პერსპექტივაში მგვ საკმაოდ წარმატებული უნდა იყოს. თუმცა, ისინი გამოწვევების დაძლევის აუცილებელ წინაპირობად სამინისტროს მეტ აქტიურობასა და უკეთეს თანამშრომლობას ასახელებენ. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ გარკვეული აქტივობები განახორციელა კერძო სექტორთან კომუნიკაციის კუთხით, კვლევამ გვიჩვენა, რომ ეს ღონისძიებები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ საჯარო-კერძო დიალოგი სათანადოდ ეფექტური ყოფილიყო.

საჯარო-კერძო დიალოგის მეტი ეფექტურობისთვის გამოყენებული უნდა იყოს კომუნიკაციის ყველა შესაძლო საშუალება. აღნიშნული დიალოგი დაეხმარება არა მხოლოდ მწარმოებლებს, არამედ პოლიტიკის განმახორციელებელ პირებსაც, რომ უკეთესად დაგეგმონ იმპლემენტაციის პროცესი.

სამინისტროს მხრიდან საჯარო-კერძო დიალოგის პროცესში მეტი აქტიურობის აუცილებლობას ხაზს უსვამენ ექსპერტებიც და მიიჩნევენ, რომ პროცესის სწორად წარმართვის შემთხვევაში, საქართველოში შესაძლოა მივიღოთ მგვ-ს განხორციელების ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი.

## ბიბლიოგრაფია:

- ბარძიმაშვილი, გ. (2019 წლის 5 ივლისი). კომპანია Gulf-ის გარემოსდაცვითი კონსულტანტი. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)
- Business Media Georgia. (2019 წლის 23 აპრილი). *მწარმოებლის ვალდებულება ნარჩენების მართვაზე*. მოპოვებული 2019 წლის 30 აპრილი, Business Media Georgia: <https://www.bm.ge/ka/video/mwarmoeblis-valdebuleba-narchenebis-martvaze/12879-დან>
- გოგალაძე, ბ. (2019 წლის 17 ივლისი). არასამთავრობო ორგანიზაცია GEO-ს დამაარსებელი, გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტი. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)
- GEO. (2017). *მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განმარტებითი სახელმძღვანელო*. Tbilisi: Georgia's Environmental Outlook.
- დ.მ. (2019 წლის 10 ივლისი). დირექტორი. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)
- დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის გუნდი GEORGIA. (2018 წლის 9 ოქტომბერი). *ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოში მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო პროცესის დაწყებას*. მოპოვებული 2019 წლის 12 მაისი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში: [https://eeas.europa.eu/delegations/georgia/51810/node/51810\\_en-დან](https://eeas.europa.eu/delegations/georgia/51810/node/51810_en-დან)
- იმედი. (2018 წლის 9 ოქტომბერი). *მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება - რა ცვლილება იგეგმება 2019 წლიდან*. მოპოვებული 2019 წლის 1 მაისი, imedi.ge: <https://bit.ly/2Xm1ypW-დან>
- ინტერპრესნიუსი. (2019 წლის 24 აპრილი). *მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტების პრეზენტაცია 25 აპრილს გაიმართება*. მოპოვებული 2019 წლის 1 ივლისი, IPN: <https://www.interpressnews.ge/ka/article/543757-mcarmoeblis-gapartoebul-valdebulebastan-dakavshirebuli-kanonkvemdebare-aktebis-prezentacia-25-aprils-gaimarteba/-დან>
- ICMA & CENN. (2017). *საქართველოში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პოლიტიკის განხორციელების შესაძლო ვარიანტები სასმელების მწარმოებლები კომპანიებისათვის*. თბილისი: Caucasus Environmental NGO Network.
- ICMA, CityLink & CENN. (2015). *ნარჩენებს მართვა ევროკავშირის ქვეყნებში*. თბილისი: CENN.
- IDFI. (2017 წლის 5 მაისი). *კერძო-საჯარო დიალოგი კანონპროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე*. მოპოვებული 2019 წლის 30 ივნისი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი: [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/PPD\\_G4G/PPD\\_Geo\\_PRINT.pdf-დან](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/PPD_G4G/PPD_Geo_PRINT.pdf-დან)
- კალანდაძე, გ. (2019 წლის 8 ივლისი). კომპანია "Georgian Plus"-ის თავმჯდომარე. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)
- კოლელიშვილი, გ. (2019 წლის 12 ივლისი). კომპანია "თეგეტა მოტორსის" შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი სპეციალისტი. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)

- ლ.ჭ. (2019 წლის 9 ივლისი). მენეჯერი. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)
- ლომიძე, ა. (2019 წლის 9 ივლისი). კომპანია "ბორჯომის" გარემოს დაცვის მენეჯერი. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)
- mepa.gov.ge. (2019 წლის 16 იანვარი). *სპეციფიკური ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის პროექტების წარდგენა*. მოპოვებული 2019 წლის 3 ივნისი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო:  
<http://mepa.gov.ge/Ge/News/Details/7338>-დან
- ნ.მ. (2019 წლის 13 ივლისი). მწარმოებელთა ასოციაციის წარმომადგენელი. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)
- ნავდარაშვილი, ა. (2019 წლის 2 მაისი). *რას გულისხმობს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება - ინტერვიუ ხატია წილოსანთან*. მოპოვებული 2019 წლის 27 ივნისი, ლიბერალი: <http://liberali.ge/articles/view/44782/ras-guliskhmobs-mtsarmoeblis-gafartoebuli-valdebuleba--interviu-khatia-tsilosantan>-დან
- Particip GmbH. (2019). *ნარჩენების მართვა: ციფრები და მონაცემები*. თბილისი.
- რუხაია, ვ. (2019 წლის 15 ივლისი). არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის წარმომადგენელი, ექსპერტი ნარჩენების მართვის საკითხში. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)
- ს.ზ. (2019 წლის 15 ივლისი). შრომის უსაფრთხოებასა და ეკოლოგიურ მიმართულებებზე პასუხისმგებელი პირი. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)
- სარალიძე, ა. (2019 წლის 16 ივლისი). TBC ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მენეჯერი. (თ. მალედანი, ინტერვიუერი)
- საქართველოს მთავრობა. (2016 წლის 1 აპრილი). *ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ*. მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3242506?publication=0>-დან
- საქართველოს მთავრობა. (2019). *დადგენილება ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ (სამუშაო დოკუმენტი)*. თბილისი: საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს მთავრობა. (2019). *დადგენილება შეფუთვის ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ (სამუშაო დოკუმენტი)*. თბილისი: საქართველოს მთავრობა.
- საქართველოს პარლამენტი. (2015). *ნარჩენების მართვის კოდექსი*. მოპოვებული 2019 წლის 20 ივნისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=8>-დან
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2014). *ასოციირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის*. 2019 წლის 20 ივნისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>-დან

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). *საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა*. მოპოვებული 2019 წლის 25 მაისი, geostat.ge:  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva-დან>
- Bell, V. (December 14, 2011). *Extended Responsibility*. Retrieved June 5, 2019, from Recycling Today:  
<https://www.recyclingtoday.com/article/rt1211-extended-producer-responsibility/>
- Benveniste, A. (March 7, 2019). *Average Americans Can't Afford to Buy Green*. Retrieved July 2, 2019, from Bloomberg: <https://www.bloomberg.com/news/articles/2019-03-07/it-s-not-cheap-being-a-green-consumer>
- Boztepe, A. (2016). Green Marketing and Its Impact on Consumer Buying Behavior. *European Journal of Economic and Political Studies*, 5-21.
- Cahill, R., Grimes, S. M., & Wilson, D. C. (2011). Extended producer responsibility for packaging wastes and WEEE - A comparison of implementation and the role of local authorities across Europe. *Waste Management & Research* , 455–479.
- Creswell, J. W. (2014). *Research Design: qualitative, quantitative, and mixed methods approaches*. London: SAGE Publications.
- Deloitte. (2014). *Development of Guidance on Extended Producer*. Paris: European Commission – DG Environment.
- Girling, J. (2015). *Extended Producer Responsibility in Chile*. Retrieved June 15, 2019, from EC4P:  
<https://ec4p.com/news/extended-producer-responsibility-in-chile>
- Gonzalez, T. S. (August 25, 2018). *Challenges in the implementation of Extended Producer Responsibility policies: The case of Packaging in Chile*. Retrieved July 1, 2019, from [www.fundacionbasura.org](http://www.fundacionbasura.org):  
[https://www.fundacionbasura.org/wp-content/uploads/2018/10/Challenges-in-EPR-Implementation\\_Santa-Maria\\_2018.pdf](https://www.fundacionbasura.org/wp-content/uploads/2018/10/Challenges-in-EPR-Implementation_Santa-Maria_2018.pdf)
- Herzberg, B., & Wright, A. (2006). *The PPD Handbook: A Toolkit For Business Environment Reformers*. Retrieved July 1, 2019, from Public-Private Dialogue:  
<http://www.publicprivatedialogue.org/papers/PPD%20handbook.pdf>
- Hotta, Y., Hayashi, S., Bengtsson, M., & Mori, H. (2009). *Extended Producer Responsibility Policy in East Asia in consideration of International Resource Circulation*. Hayama: Institute for Global Environmental Strategies (IGES).
- International Monetary Fund. (2018). *World Economic Outlook* . Washington, DC: IMF Publication Services.
- Kruszewska, I., & Thorpe, B. (1995). *Strategies to Promote Clean Production: Extended Producer Responsibility*. Amsterdam: Greenpeace International. Retrieved June 10, 2019 from  
<http://archive.grrn.org/resources/BevEPR.html>
- Kunz, N., Atasu, A., Mayers, K., & Van Wassenhove, L. (2014). *Extended Producer Responsibility: Stakeholder Concerns and Future Developments*. Fontainebleau: INSEAD Social Innovation Centre.
- Kunz, N., Mayers, K., & Van Wassenhove, L. N. (2018). Stakeholder Views on Extended Producer Responsibility and the Circular Economy. *California Management Review*, 1-26.
- Lifset, R. (1993). Take it Back: Extended Producer Responsibility as a Form of. *The Journal of Resource Management and Technology*, 163-175.

- Lindhqvist, T. (1992). *Extended Producer Responsibility as a Strategy to Promote Cleaner Products*. Lund: Lund University.
- Lindhqvist, T. (2000). *Extended Producer Responsibility in Cleaner Production: Policy Principle to Promote Environmental Improvements of Product Systems*. Lund University: IIIIEE.
- Lindhqvist, T., & Lidgren, K. (1990). *Models for Extended Producer Responsibility*. Stockholm: Ministry of the Environment.
- McCarthy, J. E. (1993). *Bottle Bills and Curbside Recycling: Are They Compatible?* Washington, D.C.: Congressional Research Service, Library of Congress.
- OECD. (2001). *Extended Producer Responsibility*. Retrieved July 12, 2019 from OECD: <http://www.oecd.org/environment/waste/extended-producer-responsibility.htm>
- OECD. (2011). *Extended Producer Responsibility (A Guidance Manual for Governments)*. Retrieved July 12, 2019, from OECD Library Web site: [https://read.oecd-ilibrary.org/environment/extended-producer-responsibility\\_9789264189867-en#page20](https://read.oecd-ilibrary.org/environment/extended-producer-responsibility_9789264189867-en#page20)
- Pinto, R. (2015 წლის 11 October). *Review of Public Private Dialogue and Recommendations*. Retrieved June 1, 2019, from Research Gate: [https://www.researchgate.net/publication/282734187\\_Review\\_of\\_Public\\_Private\\_Dialogue\\_and\\_Recommendations](https://www.researchgate.net/publication/282734187_Review_of_Public_Private_Dialogue_and_Recommendations)
- Press and information team of the Delegation to GEORGIA. (October 9, 2018). *EU helps launch Extended Producer Responsibility (EPR) consultation process in Georgia*. Retrieved May 1, 2019, from Delegation of the European Union to Georgia: [https://eeas.europa.eu/delegations/georgia/51810/node/51810\\_en](https://eeas.europa.eu/delegations/georgia/51810/node/51810_en)
- Toffel, M. W., Stein, A., & Lee, K. L. (September 1, 2008). *Extending Producer Responsibility: An Evaluation Framework for Product Take-Back Policies*. Retrieved June 19, 2019, from Harvard Business School: [https://www.hbs.edu/faculty/Publication%20Files/09-026\\_14fa1fce-a035-4b45-bcb6-fd8fd1809b23.pdf](https://www.hbs.edu/faculty/Publication%20Files/09-026_14fa1fce-a035-4b45-bcb6-fd8fd1809b23.pdf)
- UNDP Georgia. (2018). *Extended Producer Responsibility (EPR) in Georgia - Trends and Challenges*. Retrieved June 5, 2019, from [www.ge.undp.org](http://www.ge.undp.org): <http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/presscenter/pressreleases/2018/extended-producer-responsibility--epr--in-georgia---trends-and-c.html>
- Walls, M. (2006). *Extended Producer Responsibility and Product Design: Economic Theory and Selected Case Studies. Resources for the Future, discussion paper*. Washington, DC.
- Wiesmeth, H., & Hackl, D. (2011). How to successfully implement extended producer responsibility: considerations from an economic point of view. *Waste Management & Research*, 891–901.
- Yu, J., Hills, P., & Welford, R. (2008). Extended producer responsibility and eco-design changes: perspectives from China. *Corporate Social Responsibility and Environmental Management*, pp. 11-124. Retrieved June 4, 2019, from <https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1002/csr.168#accessDenialLayout>

## დანართი

### დანართი #1 - მწარმოებლებთან ინტერვიუს გზამკვლევი

კომპანია:

საწარმოს ზომა (მცირე, საშუალო, მსხვილი):

რესპონდენტი, პოზიცია:

თარიღი:

გაცნობითი/ზოგადი კითხვები:

1. რა პოზიცია გაქვთ კომპანიაში და როგორ უკავშირდება ის მგვ-თი ნაკისრი პასუხიმგებლობების შესრულებას?
2. რა კუთხით ეხება მგვ თქვენს კომპანიას?
  - რა ტიპის ნარჩენებს წარმოქმნით?
  - რა ვალდებულებები გეკისრებათ მგვ-ს ფარგლებში (რა დამატებითი ვალდებულება წარმოიქმნება თქვენთვის)?
3. ზოგადად როგორ შეაფასებდით მგვ-ს? რამდენად საჭიროა და რა განწყობები გაქვთ ამ პროცესთან მიმართებით?
4. მისი დანერგვის პროცესს როგორ შეაფასებდით?

დაგეგმვა და კანონმდებლობა:

1. იყავით თუ არა ჩართული მგვ-სთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავების პროცესში?
2. პირველად როდის გაეცანით კანონმდებლობას?
  - ვისგან მიიღეთ ინფორმაცია?
  - რამდენად მისაღებია ეს კანონმდებლობა თქვენთვის?
3. პირველად, ვისგან/რა გზებით შეიტყვეთ რომ ახალი ვალდებულება შედიოდა ძალაში 2019 წლის 1-ლი დეკემბრიდან?
4. კანონმდებლობით რამდენად ნათელია თქვენთვის ის პასუხისმგებლობები, რაც თქვენს კომპანიას ეკისრება/შეიძლება დაეკისროს?

5. თქვენი აზრით, რამდენად არის საქართველოს ბაზარი აღნიშნული ვალდებულების დანერგვისთვის მზად?
6. მგვ-ს დანერგვის პროცესში, მთავარი გამოწვევა რა არის ან რა შეიძლება იყოს თქვენი კომპანიისთვის?
  - მზად ხართ თუ არა ამ გამოწვევებისთვის?
7. ზოგადად მგვ-ს დანერგვის პროცესში სხვა რა გამოწვევებს ხედავთ?
8. თქვენი აზრით, რა ინსტრუმენტების განვითარება/რა ცვლილებები იქნება საჭირო რომ მგვ კანონმდებლობამ მის მიზნებს მიაღწიოს?
9. რაიმეს თუ შეცვლიდით კანონმდებლობაში?
  - მიაწოდეთ თუ არა ეს აზრი/იდეა ხელისუფლებას? რა გზებით? რა რეაგირება მოჰყვა მათი მხრიდან? თუ გაითვალისწინეს?
10. მგვ სისტემის განხორციელების კოლექტიურ სქემას აირჩევთ თუ ინდივიდუალურს?
11. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი იყო გადაწყვეტლება, რომ PRO უნდა იყოს არამომგებიანი?

#### ღონისძიებები და ვადები

12. რაიმე საკოორდინაციო ორგანო ან საკონსულტაციო საბჭოს მსგავსი თუ დაარსდა და თუ იღებდით მასში მონაწილეობას?
13. იყავით თუ არა ჩართული მგვ პოლიტიკის დაგეგმვის ეტაპზე მიმდინარე შეხვედრებში?

თუ დიახ: როდის ჩაერთეთ? ვისგან მიიღეთ ინფორმაცია ამ შეხვედრებთან დაკავშირებით? პროცესს ვინ მართავდა/ვისი ორგანიზებით და ინიციატივით ჩატარდა ეს შეხვედრები? რამდენ შეხვედრას დაესწარით?

თუ არა: თავიდანვე რომ ყოფილიყავით კონსულტაციების პროცესსა და დაგეგმვის ეტაპზე ჩართული, რას შეცვლიდით კანონმდებლობასა და მიმდინარე პროცესში?

14. როგორ ფიქრობთ, 1-ლი დეკემბრისთვის იქნებით თუ არა მზად მგვ-თი გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად?

15. როგორ ფიქრობთ, ინფორმაციის მიღების შემდგომ საკმარისი დრო გქონდათ ახალი ვალდებულებებისთვის მოსაზამზადებლად?

კომუნიკაცია, კოორდინაცია და სხვ.:

16. თქვენი აზრით, რამდენად გამჭვირვალე იყო მგვ-ს დანერგვის პროცესი საწყის ეტაპზე?

17. ახლა რამდენად გამჭვირვალეა?

18. სამინისტროს მხრიდან მგვ-ს დანერგვის პროცესს ზოგადად როგორ შეაფასებდით? რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს ეს პროცესი?

19. თქვენი აზრით, რამდენად ჰქონდათ მოტივაცია რომ მწარმოებლები მაქსიმალურად ჩაერთოთ გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე? რაში გამოიხატებოდა ეს სურვილი? როგორ/რა გზებით ჩაგრეთეს?

20. გთხოვთ, 5 ბალიანი სისტემით შეაფასოთ სამინისტროს მხრიდან კომუნიკაციის ეფექტურობა (სადაც 1 არის ძალიან ცუდი, ხოლო 5 ძალიან კარგი).

➤ ინფორმაციის დროული მიწოდება

➤ ზოგადად, რამდენად ნათელი/გასაგები იყო სამინისტროს მხრიდან კომუნიკაცია?

➤ რამდენად დროული და ამომწურავი იყო თქვენს შეკითხვებზე პასუხი სამინისტროს მხრიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

➤ როგორ შეაფასებდით მონაცემებზე ხელმისაწვდომობას?

➤ რამდენად კარგად გაუწია სამინისტრომ კოორდინირება შეხვედრებს დაინტერესებულ მხარეებს შორის?

➤ როგორ შეაფასებდით ინფორმაციული საჭიროებების გათვალისწინებას (ტრენინგის სახელმძღვანელოები, ბროშურები, სემინარები და სხვა სახის პუბლიკაციები როდის გაგიზიარეს და, თქვენი აზრით, რამდენად დროული იყო)?

21. ახლა როგორ მიმდინარეობს დიალოგის პროცესი?

22. თქვენი აზრით, რამდენად მოახერხებს ხელისუფლება მგვ დანერგვის პროცესის ეფექტურად მონიტორინგს?

23. როგორია თქვენი მოლოდინები მგვ-სთან დაკავშირებით? რამდენად წარმატებული იქნება მოკლევადიან პერსპექტივაში? გრძელვადიან პერსპექტივაში?



24. უკვე იცით თუ არა წლიურად რა დამატებითი ხარჯის გაღება მოგიწევთ მგვ ვალდებულების შესასრულებლად?
25. მგვ-ს ერთ-ერთი პრინციპი არის ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილება/პრევენცია. როგორ ფიქრობთ, თქვენი კომპანია მგვ-ში ჩართვის შემდგომ ნაკლებ ნარჩენს წარმოქმნის?
26. გეგმავთ თუ არა, პროდუქტის დიზაინის ცვლილებას იმისთვის რომ ნაკლები ნარჩენი წარმოქმნათ? თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს მგვ პროდუქტის დიზაინის ცვლილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს? (თქვენს შემთხვევაში, რამდენი პროდუქტის დიზაინის ცვლილება მოხდა. ან მაგალითად, რომელიმე მასალა ხომ არ შეცვალეთ/გეგმავთ შეცვალოთ უფრო ეკო-მეგობრული მასალით, შეამციროთ შესაფუთი მასალის ზომა, ან პროდუქტი მოხმარების შემდგომ გადასამუშავებლად უფრო მარტივი რომ იყოს ამისთვის ხომ არ გაკეთდა რამე და ა.შ.)
27. რამეს ხომ არ დაამატებდით?

## დანართი #2 - ექსპერტებთან ინტერვიუს გზამკვლევი

რესპონდენტი:

პოზიცია:

თარიღი:

1. რა კუთხით ხართ ჩართული მგვ-ს დანერგვის პროცესში?
2. მგვ-ს დანერგვის პროცესში ჩართული ძირითადი აქტორები ვინ არიან?
3. რომელიმე კონკრეტული ქვეყნის მგვ მოდელი ხომ არ არის გადმოტანილი ან რომელიმე ქვეყნის მოდელის გადმოტანა ხომ არ იგეგმება?
4. იყავით თუ არა ჩართული მგვ-სთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავების პროცესში?
5. თქვენი აზრით, მზად იქნებიან თუ არა მწარმოებლები მგვ-თი ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად 2019 წლის 1-ლი დეკემბრისთვის?
6. თქვენი აზრით, რამდენად არის საქართველოს ბაზარი აღნიშნული ვალდებულების დანერგვისთვის მზად?
7. რამდენად საკმარისი იქნება ქვეყანაში არსებული გადამამუშავებელი ქარხნების რაოდენობა იმ მოცულობის ნარჩენების გადასამუშავებლად, რაც მგვ-ს ამოქმედების შემდგომ იქნება საჭირო?
8. მგვ-ს დანერგვის პროცესში, მთავარი გამოწვევა რა არის ან რა შეიძლება იყოს? სხვა რა გამოწვევებს ხედავთ?
9. აქვს თუ არა ხელისუფლებას გამოწვევების მართვის მექანიზმი? და როგორ შეაფასებდით მას?
10. თქვენი აზრით, რა ინსტრუმენტების განვითარება/რა ცვლილებები იქნება საჭირო რომ მგვ კანონმდებლობამ მის მიზნებს მიაღწიოს?
11. რაიმე საკოორდინაციო ორგანო ან საკონსულტაციო საბჭოს მსგავსი თუ დაარსდა და იყვნენ თუ არა მასში დაინტერესებული მხარეები გაწევრიანებული? ვინ იყო მეწარმეები? მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებიც?
12. სფეროს ექსპერტებთან სათანადოდ მიმდინარეობდა კონსულტაციები? კმაყოფილი ხართ? თუ უფრო მეტი სიხშირით უკეთესი იქნებოდა?

13. ეცნობათ თუ არა მეწარმეებს, სამინისტროს რომელ წარმომადგენელს შეიძლება დაკონტაქტებოდნენ შეკითხვების შემთხვევაში?
14. თუ გაქვთ ინფორმაცია, დაახლოებით რამდენ მწარმოებელს/იმპორტიორს ეხება აღნიშნული ვალდებულება?
15. როგორ ფიქრობთ, ინფორმაციის მიღების შემდგომ საკმარისი დრო ჰქონდათ მწარმოებლებს ახალი ვალდებულებებისთვის მოსაზამზადებლად?

კომუნიკაცია, კოორდინაცია და სხვ:

16. თქვენი აზრით, რამდენად გამჭვირვალე იყო მგვ-ს დანერგვის პროცესი საწყის ეტაპზე?
17. ვისი ინიციატივა იყო კერძო სექტორთან შეხვედრების/კონსულტაციების დაწყება?
18. სამინისტროს მხრიდან მგვ-ს დანერგვის პროცესს ზოგადად როგორ შეაფასებდით? რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს ეს პროცესი?
19. თქვენი აზრით, რამდენად ჰქონდათ მოტივაცია რომ მწარმოებლები მაქსიმალურად ჩაერთოთ გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე? რაში გამოიხატებოდა ეს სურვილი? როგორ/რა გზებით ჩართეს?
20. როგორ ფიქრობთ, რამდენად თანაბრად მიეწოდებოდათ ინფორმაცია მცირე, საშუალო და მსხვილ მწამროებლებს? აქცენტი მსხვილ იმპორტიოებზე ხომ არ იყო?
21. გთხოვთ, 5 ბალიანი სისტემით შეაფასოთ სამინისტროს მხრიდან კომუნიკაციის ეფექტურობა (სადაც 1 არის ძალიან ცუდი, ხოლო 5 ძალიან კარგი).
22. როგორ შეაფასებდით ინფორმაციული საჭიროებების გათვალისწინებას (ტრენინგის სახელმძღვანელოები, ბროშურები, სემინარები და სხვა სახის პუბლიკაციები როდის გაგიზიარეს და, თქვენი აზრით, რამდენად დროული იყო)?  
(*კომენტართან ერთად შეგიძლიათ 1-დან 5-მდე სკალაზე შეაფასოთ*)
23. ახლა როგორ მიმდინარეობს დიალოგის პროცესი?
24. თქვენი აზრით, რამდენად მოახერხებს ხელისუფლება მგვ დანერგვის პროცესის ეფექტურად მონიტორინგს? (*კომენტართან ერთად შეგიძლიათ 1-დან 5-მდე სკალაზე შეაფასოთ*)

25. ხომ არ იცით საინფორმაციო ვიდეო რგოლების ტელევიზიით გაშვება როდის დაიწყო და მართო საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადის?
26. როგორია თქვენი მოლოდინები მგვ-სთან დაკავშირებით? რამდენად წარმატებული იქნება მოკლევადიან პერსპექტივაში? გრძელვადიან პერსპექტივაში?
27. თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს მგვ პროდუქტის დიზაინის ცვლილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს?
28. რა პრობლემას წააწყდით მწარმოებლების მხრიდან? იყო თუ არა შეხვედრებზე დასწრება მაღალი?
29. თქვენი აზრით, მწარმოებლებს როგორი განწყობები აქვთ მგვ-სთან დაკავშირებით?
30. რამეს ხომ არ დაამატებდით?

დანართი #3 - სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tinatin Maghedani

Implementation Process of Extended Producer Responsibility (EPR) in  
Georgia: Study of the Producers' Attitudes

Public Policy and Public Administration

MA Thesis Submitted in Fulfilment of the Requirements for the Degree of Master  
of Arts in Public Administration

Supervisor: Nana Macharashvili

Associate Professor

Head of the Programme

Tbilisi

2019